ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 22 (78)

5—11 ივნისი, 1992 წ.

საქართველოს ძარცვავენ, არბევენ, გლეჯენ და ანიოკებენ:

ნახატი
მალხაზ კუხაშვილისა

რუსი „მოხალისეები“!
ოსი „ბოევიკები“!
აფხაზი ექსტრემისტები!
შეიარაღებული „შავები“!
მაფიოზი წითლები!
ექსპრეზიდენტის შეიარაღებული ბანდები!
„მხედრიონს“ მიტმასნილი ბანდები!
გვარდიას მიტმასნილი ბანდები!
სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს მიტმასნილი ბანდები!
მილიციას მიტმასნილები!
პოლიციას მიტმასნილები!
და...
კიდევ კარგი, არსებობს ეს ყოვლისშემძლე და მხსნელი სიტყვა —

მიტმასნილი!..

დღეს ნომერში:

ფელიქს კოტიაშვილი:
„მოსკოვის კაცია“ შევარდნაძე?
მე-3 გვ.

როსტომ ჩხეიძე:
ჯერ ირლანდია, სტივი...
მე-6 გვ.

ტარიელ კვანტილაშვილი:
ბურბონები ბრუნდებიან?
მე-7 გვ.

ამირან დოლიძე:
რაზომ არ ცნობს რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას?
მე-7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ უფლებათა დეკლარაცია

(პროექტი)

– რედაქციისაგან

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაში, რომელიც კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ სამაგიდო დოკუმენტს წარმოადგენს, მართალია ლაპარაკია ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მაგრამ მასში, სამწუხაროდ, არ არის გამოკვეთილი საუბარი ერის უფლებათა დაცვის შესახებ.

ყოფილ სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე და უფრო ფართო მასშტაბითაც განვითარებული მოვლენები, უკიდურესი დაძაბულობა ერთაშორის, სისხლიანი ეთნოკონფლიქტები, ვფიქრობთ, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად ერის უფლებათა დაცვის პრობლემას № 1 საკითხად აქცევს კაცობრიობის საფიქრალთა შორის.

გთავაზობთ საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ მომზადებულ ეროვნულ უფლებათა დეკლარაციის პროექტის პირველ ნაწილს.

სასურველია, ყველამ, ვისაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, გამოხატოს თავისი აზრი ამ პროექტთან დაკავშირებით.

სასურველია პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებმა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმაც.

ვინძლო შეიქმნას ისეთი დოკუმენტი, რომლითაც საკაცობრიო სამართლებრივ სალაროში ჩვენ ჩვენს წვლილს შევიტანთ.

ამოდის რა იმ რწმენიდან, რომ პრინციპული ეროვნული თანასწორობა ყველა სხვა ადამიანთან და საკუთარი ერის პრინციპული თანასწორობა ყველა სხვა ერთან — საკუთარი პიროვნების, როგორც ერის წარმომადგენლის, ღირსების და საკუთარი ერის ღირსების შეულახობა — საკუთარი ერის ეროვნული ვინაობის დაცვა და მისი მარადიულყოფა ინდივიდუალური ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სულიერი და მორალური მოთხოვნილებაა, რომლის დაუკმაყოფილებლადაც ადამიანს არ ძალუძს არც თავის ადამიანურ შესაძლებლობათა სრული გაშლა-განვითარება, არც ჰარმონიული მონაწილეობა მსოფლიოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში, საქართველოს სახალხო ფრონტი იღებს ადამიანის განუსხვისებელ ეროვნულ უფლებისა და ერის განუსხვისებელი უფლებების შემდეგ დეკლარაციას:

I. ზოგადი დებულებები

I. ეროვნული დაუჩაგრაობის უფლება, ანუ ყველა სხვა ერის ადამიანთან პრინციპული თანასწორობის უფლება და საკუთარი ერის ყველა სხვა ერთან პრინციპული თანასწორობის უფლება ყველა ადამიანის — კაცის, ქალისა და ბავშვის — წმინდა უფლებაა, მისი, როგორც პიროვნების, ადამიანურ უფლებათა ერთი შემადგენელი ნაწილია. ეროვნული დაუჩაგრაობის უფლება ადამიანისთვის ნიშნავს:

ა) თავისი ეროვნული კუთვნილების არჩევისა და აღიარების უფლებას.

ადამიანი უფლებამოსილია ღიად, დაუფარავად და თავისთვის ან თავისი ოჯახის წევრებისთვის საშიშროების შეუქმნელად განაცხადოს თავისი კუთვნილება იმ ერისადმი, რომლის წევრადაც იგი თვლის თავის თავს, განაცხადოს თავისი სურვილი, რომ ამ ერის საერთო ინტერესები თავისთვის არსებით ინტერესებად აღიაროს, და თავისი განზრახვა, რომ ემსახუროს ამ ინტერესებს სხვა ერთა ინტერესების რაიმე შელახვის გარეშე, უფლებრივი თანასწორობისა და სამართლიანობის ზოგად პრინციპთა შესაბამისად.

შენიშვნა: ჩვეულებრივ პირობებში ადამიანი თავის ეროვნებას საზღვრავს თავისი მშობლების ეროვნების მიხედვით, მაგრამ იგი უფლებამოსილია, თავისი ბიოგრაფიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისი ეროვნება მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის ეროვნებისაგან განსხვავებულადაც განსაზღვროს.

ბ) ეროვნული კულტურით სარგებლობის უფლება.

ადამიანს უფლება აქვს ღიად, დაუფარავად და თავისთვის ან თავისი ოჯახის წევრებისთვის საშიშროების შეუქმნელად დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული და სოციალური ყოველდღიური მოთხოვნილებები თავისი ეროვნული კულტურისთვის სპეციფიკური ფორმით: ისწავლოს და თავის შვილებს ასწავლოს დედაენაზე; დაუბრკოლებლად გამოცეს ჟურნალ-გაზეთები და წიგნები თავის დედაენაზე; სხვა ეროვნულ ჯგუფთა და პიროვნებათათვის ზარალის ან უსამართლობის მიუყენებლად იცხოვროს თავისი ეროვნული კულტურისათვის სპეციფიკური წესით იმ ადამიანებთან კავშირურთიერთობაში, ვისაც ამ სპეციფიკური წესით მასთან თანაცხოვრება ჰსურთ.

გ) ეროვნული კულტურის დაცვის უფლება.

ადამიანს უფლება აქვს, საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობს, ჰქონდეს კანონმდებლობითა და ინსტიტუციებით რეალიზებული გარანტია იმისა, რომ ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილ უფლებებში კანონისმიერი დაცვა ექნება მის შთამომავლობასაც და მისი ამჟამინდელი ეროვნული ჯგუფის შთამომავლობასაც, რაც მისი ეროვნული ჯგუფისათვის თავისი ეროვნული სპეციფიკური კულტურის პირობებში ცხოვრების სამარადისოდ გაგრძელებას ნიშნავს იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს (კოლექტივს) მისი გაგრძელება ჰსურს, აგრეთვე იგივე გარანტია, საერთაშორისო სამართლითა და ინსტიტუციებით რეალიზებული სახით, ეროა მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში.

დ) ეროვნული ნიშნით მოქალაქეობრივი დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება.

ადამიანს უფლება აქვს, რომ საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობს, კანონის მიერ დაცული იყოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, თავმოყვარეობისა და ღირსების ხელყოფისაგან ეროვნული ნიშნით, სახელდობრ, დაცული იყოს ზემოხსენებული ხელყოფებისაგან იმავე ზომით, რომლითაც დაცულია ამავე საზოგადოებაში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნების მოქალაქე. ასევე დაცული უნდა იყოს იგი ზემოხსენებული სახის ხელყოფებისაგან ერთა მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში.

ე) ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს თავისი ეროვნული სამშობლო, ანუ ისეთი ნაწილი დედამიწის ტერიტორიისა, რომელიც ა) მისი ერის მიერ და მსოფლიოს მიერ აღიარებულია მისი ერის კუთვნილებად და მისი ერის უზენაეს საკუთრებაში მყოფად, რომლის მიმართაც ბ) მის ერს უნიკალური (ექსკლუზიური) ან უპირატესი უფლებამოსილება აქვს და გ) რომლის მიმართაც ამ ერის ამ უფლებამოსილების მთლიანი ან ნაწილობრივი დელეგირება სხვისთვის (სხვა ერის ქვეყნებისათვის) ხდება მხოლოდ ხელშეკრულების ფორმით, მხოლოდ ამ ერის ერთობლივი თავისუფალი გადაწყვეტილებით და ვადით.

ვ) ადამიანს აქვს კანონმდებლობითა და ინსტაციებით რეალიზებული გარანტია, რომ მისი ერის არსებობა, მის წევრთა სურვილის შემთხვევაში, მარადიულია, რომ მისი, როგორც მთელის, ვინაობას (იდენტობას) მის წევრთა სურვილის შემთხვევაში არ ემუქრება და ვერ დაემუქრება გაქრობა ან ასიმილაცია სხვა ერის მიერ ძალადობის, იძულების ან ეკონომიკური თუ სხვა სახის ზეწოლის შედეგად.

შენიშვნები: ა) ადამიანის ეროვნული სამშობლო და მისი დაბადების ადგილი ჩვეულებრივ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. მათი არდამთხვევის შემთხვევაში ადამიანის უფლებაა, თვითონ განსაზღვროს ქვეყანა, რომელსაც თავის პირად სამშობლოდ მიიჩნევს და რომელსაც მისი უპირატესი მოქალაქეობრივი ერთგულება მიეკუთვნება.

ბ) ჩვეულებრივ შემთხვევაში იმის გამო, რომ ადამიანის ეროვნულ სამშობლოში მისი ერის მოსახლეობის უმრავლესობაა, ერის დიდი უმრავლესობის ნება, ძირითადად, ემთხვევა მოსახლეობის მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტერიტორიის მფლობელი ერი არ არის უმრავლესობა მის მოსახლეობაში, რის გამოც მოცემული ტერიტორიის (ქვეყნის) მფლობელი ერის უმრავლესობის ნება არ ემთხვევა მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, ადამიანს, რომლის ერიც ამ ტერიტორიის მფლობელი ერია, აქვს უფლება, რომ მისი ერის უნიკალური (ექსკლუზიური) ან უპირატესი უფლებამოსილება მოცემული ტერიტორიის მიმართ გარანტირებული იყოს სხვა, არაუმრავლესობისმიერი სამართლებრივი მექანიზმებით (ორპალატიანი პარლამენტით, ისეთი ნაბიჯების კონსტიტუციისმიერი აკრძალვებით, რომელიც შელახავს ამ პუნქტთან დაკავშირებულ უფლებებს, და სხვა...)

გ) რამდენადაც მოსახლეობის უმრავლესობის ნებისა და მოცემული ტერიტორიის მფლობელი ერის უმრავლესობის ნების ურთიერთდაუმთხვევლობა ამ ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრის საკითხებში ქმნის სამოქალაქო კოლიზიის საფრთხეს, რის შედეგადაც ზარალდება ან მოქალაქეთა უმრავლესობის უფლება, ან მფლობელი ერის, როგორც ერის, და მისი შემადგენელი ინდივიდების უფლება, ერს აქვს უფლება იმიგრაციის პროცესების ცალსახა კონტროლისა, ხოლო ამ უფლებების შეზღუდვა უცხო ძალის მიერ ჩაითვლება ძალადობად ამ ერის და მისი შემადგენელი ინდივიდების მიმართ. ასევე, ყველა ეკონომიკური ან სხვა სახის ზომა, რომელიც მიმართულია მფლობელი ერის უმცირესობად ქცევისკენ მის სამშობლოში, ან შესაძლებელია მოიტანოს მისი უმცირესობად ქცევა, არის დანაშაული ამ ერის მიმართ.

დ) ერის განუსხვისებელი უფლებები მისი ეროვნული სამშობლოს მიმართ არის: ა) მისი ტერიტორიული საზღვრების ცვლა. ბ) მისი შინაგანი დაყოფის ცვლა. გ) მისი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხარისხის (დამოუკიდებლობა, კონფედერაცია, ფედერაცია...) განსაზღვრა.

ე) ჩვეულებრივ შემთხვევაში ადამიანის ეროვნული სამშობლო მისი ერის ისტორიული სამშობლოა, ანუ ერი მოცემული ტერიტორიის მკვიდრი ერია, ამასთანავე — ერთადერთი მკვიდრი ერი. იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე ტერიტორია ორი ერის მიერაა მიჩნეული თავის ისტორიულ სამშობლოდ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა განსახლების დღეს არსებული მდგომარეობა განსხვავდება ისტორიული მდგომარეობისაგან, სახეზეა ერთა შორის ტერიტორიული კონფლიქტი, რომლის განმავლობაშიც ადამიანის უფლებაა, თავისი ერის პოზიცია დაიცვას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იგი ამას დასაშვებად ან სავალდებულოდ მიიჩნევს ერთა შორის სამართლიანობის ზოგადი პრინციპების დაურღვევლად.

პორესპონდენციები ჩხოროწყუდან

ამა წლის 22 მაისს ღამით სოფელ კურზუში (მარტვილის რაიონი), რომელიც ესაზღვრება ჩხოროწყუს რაიონს, ერთ-ერთი ბანდა თავს დაესხა მირიანგაბუნიას სახლს. ბატონმა მირიანემ თავდამსხმელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. მგაბუნიას სახლიდან მოშორებით ნაპოვნია მომხვდურების მიქავას და ჯოჯუას გვამები. (მიქავა მრავალჯერ არის ნასამართლევი. პატიმრობიდან გათავისუფლდა თებერვლის ამნისტიის საფუძველზე. ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში, რომელიც საკოლმეურნეო ბაზარში მოხდა). არის ვერსია, რომ ისინი თვით ბანდის წევრების მიერ იქნენ ლიკვიდირებულნი.

შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ ჩხოროწყუს შს რაიგანყოფილების თანამშრომლები. მარტვილის მილიცია კი დახლოებით 8 საათის შემდეგ. არის ვერსია, რომ ბანდას დასაურდენი აქვს მარტვილის მილიციის ადმინისტრაციულ აპარატში. ეს ბანდა თითქმის უკვე წელიწადზე მეტია საჯაროდ დაპარპაშებს მთელს სამეგრელოში და აწიოკებს მოსახლეობას. სანტერესოა, რას ფიქრობს ამ ფაქტზე შს სამინისტრო.

* * *

23 მაისს შუადღისას, სოფელ ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რაიონი) დაუდგენელმა პირებმა ავტომატური იარაღით დაჭრეს ადგილობრივი მცხოვრები ემზარ სიჭინავა (ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატის ანზორ სიჭინავას ძმა).

იმავე საღამოს სოფელ ნაკიანში (ჩხოროწყუს რაიონი) დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს მაღალი ძაბვის სადენი ბოძებითურთ. ორივე ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

24 მაისს ჩხოროწყუს შს რაიგანყოფილებაში დარეკა მოქალაქემ. მისი თქმით სროლა მიმდინარეობდა მონგირის უბანში (სოფ. ლესიჭინე). სიგნალის დასაზუსტებლად შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა ოპერატიული ჯგუფი მილიციის უფროსის რამაზ ფირცხალავას ხელმძღვანელობით. როცა მონგირის უბანს მიუახლოვდნენ შვიდმა შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა მილიციის უფროსის მანქანას, რომელშიც მილიციის უფროსთან ერთად ისხდნენ რაიონის პროკურორი თენგიზ ხარებავა, სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების უფროსი ზურაბ გულუა. ეს უკანასკნელი მძიმედ დაიჭრა და ამჟამად ქ.ზუგდიდის საავადმყოფოში იმყოფება. ბანდიტებმა ცეცხლი გაუხსნეს უაზ-ის მარკის მილიციის ავტომანქანასაც, რის შედეგადაც დაიჭრა მილიციის ორი თანამშრომელი. დასახმარებლად ზუგდიდიდან მოგვიანებით ჩამოვიდნენ შინაგანი ჯარების დანაყოფები. გზაზე, სოფელ ჯიხაშკარში (ზუგდიდის რაიონი) მთაგორიანი ადგილიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს უცნობმა პირებმა. თავდამსხმელებისათვის საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ.

25 მაისს, როცა აღნიშნული დანაყოფები ქ.ზუგდიდში ბრუნდებოდნენ, იმავე ტერიტორიაზე ხელმეორედ გაუხსნეს ცეცხლი ჯიხაშკარის ციხესიმაგრესთან დაბანაკებულმა ბანდიტებმა. მათ გამოიყენეს სხვადასხვა სახის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები. ორთაბრძოლის დროს დაილუპა 2 (ერთი ჩხოროწყუს საავადმყოფოში გარდაიცვალა) შინაგანი ჯარების მებრძოლი და დაიჭრა 8. აღსანიშნავია, რომ დამხმარე ძალები სათანადო შეიარაღებით, ინფორმაციის დროულად მოწოდების მიუხედავად, არ ჩასულან. თუ არ ჩავთვლით ქ.ზუგდიდიდან დასახმარებლად ჩამოსულ რამდენიმე ქვეით მებრძოლს. ბანდიტებმა რამდენიმე საათის შემდეგ დატოვეს დაკავებული ტერიტორია. გარდაცვლილები და დაჭრილები დაბა ჩხოროწყუში ჩამოფრენილი ვერტმფრენით თბილისში გადმოიყვანეს.

* * *

29 მაისს ღამის 11 საათზე ჩხოროწყუს რაიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე რიგ-რიგობით გაისმა გასროლა. რამდენიმე წუთის შემდეგ შეიარაღებული ბანდა სროლით მიადგა მილიციის განყოფილებას და იარაღის დაყრა მოითხოვა. მილიციამ პასუხად ცეცხლი გახსნა. მაშინ ბანდიტებმა გაისროლეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, რომელმაც მილიციის შენობის 2 კედელი გაანგრია. გასროლის წნევამ მილიციის უფროსი რამაზ ფირცხალავა კიბეებიდან ჩამოაგდო, რის შედეგადაც მიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

* * *

29 მაისს 11 სთ. 30 წთ-ზე შეიარაღებული პირები სახლში შეუვარდნენ გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ კანდიდ გოგუას და სასტიკად სცემეს. ამავე დროს ტყვეებით დაცხრილეს სახლი, შიგნით თუ გარეთ.

რამდენიმე წუთს რაიონის მთელ ტერიტორიაზე ისმოდა სროლები. ბანდიტებმა 12 საათისთვის შეწყვიტეს სროლა და მიიმალნენ. განცვიფრებას იწვევს საქართველოს ტელევიზიის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ბანდიტების რაოდენობისა და ბათუმის მიმართულებით მათი გამგზავრების შესახებ. ასეთი ინფორმაცია არც ადგილობრივ მმართველობას და არც შს მილიციის რაიგანყოფილებას ტელევიზიისათვის არ მიუწოდებია. ჩვენი ინფორმაციით ბანდები დაბანაკებულნი არიან რაიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე, რის შესახებაც ეცნობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით გადამჭრელი ზომები არ მიუღია. ბანდები დღესაც დათარეშობენ რაიონის სოფლებში.

გოგი სოლდია
ჩხოროწყუს ადგილობრივი
მმართველობის გამგეობის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

„მოსკოვის კაცია“ შევარდნაძე?

ბატონ ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში, როგორც ცნობილია, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა — აღფრთოვანებული მისალმებებით დაწყებული და აღშფოთებული სტვენით დამთავრებული. ერთნი თუ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, ერის გადარჩენასაც კი ამ ჩამოსვლას უკავშირებდნენ, მეორენი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შევარდნაძე „მოსკოვის კაცია“ და „ქართველი ხალხის გენოციდისათვის, საქართველოს დასაღუპავადაა გამოგზავნილი“.

ამ უკანასკნელი განცხადების ავტორები საბუთად იმოწმებდნენ ბ-ნ ე. შევარდნაძის „რუსოფილურ წარსულს“, მის „ღრმა რწმენას, რომ საქართველოს ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლიაო“...

და აი, გავიდა რამდენიმე თვე. როგორც იტყვიან, შეგვიძლია შევაჯამოთ ბ-ნ ე. შევარდნაძის — ზოგისთვის კეთილი და ზოგისთვის ბოროტი — მისიის პირველი, „არასაშინაო“ შედეგები: საქართველომ თავი დააღწია პოლიტიკურ-დიპლომატიურ იზოლაციას, დაიწყო მისი საერთაშორისო ცხონა-აღიარების ფეიერვერკული პროცესი, ლამის ყოველდღე ფორმდება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ხელშეკრულება ამა თუ იმ ქვეყანასთან, თბილისში იხსნება საელჩოები; საქართველო გახდა ჰელსინკის პროცესის ბოხაწილე, გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში (სხვათა შორის, რუსეთზე და ყოფილი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებზე ადრე), გამოეყო კრედიტები და ა. შ.

ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ არ დაინახო, არ აღიარო ყოველივე ამაში ბ-ნ ე. შევარდნაძის, მისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის, გავლენის, პირადი კავშირების როლი...

(ვერ ვიტყვი, რა „ჭქონდა გუნებაში“ ბ-ნ ე. შევარდნაძეს, რა „დავალებით მოდიოდა“ მოსკოვიდან, რეალურად, ობიექტურად კი — ჯერჯერობით მაინც — მისი პოლიტიკა რუსეთის ინტერესებს რომ არ ემსახურება, ამაზე ზემოაღნიშნული ფაქტებიც მეტყველებენ. ფაქტები კი ჯიუტია)...

ბრმები არც მოსკოვში არიან. „დამნახავებმა“ დაინახეს, რომ საქართველო ე. შევარდნაძის, ამ „დაჯერებული რუსოფილის“ შემწეობით რუსეთის, სნგ-ს გვერდის ავლით (როგორც ცნობილია, ბ-ნი ე. შევარდნაძე სნგ-ში საქართველოს შესვლის წინააღმდეგია) პირდაპირ „გადის“ დასავლეთზე, უშუალოდ ხდება მისი პარტნიორი, და საერთოდ, დასავლეთის სამყაროს წევრი... აშკარა გახდა, რომ „მოღალატე შევარდნაძესთან“ (არაა გამორიცხული, გამოგზავნისას მართლაც დიდი იმედი ჰქონდათ მისი), ამ გამოცდილ, კრემლის „სამზარეულოში“ კარგად ჩახედულ პოლიტიკოსთან სხვანაირი „თამაში“, საქართველოსა და შევარდნაძისადმი „მიძღვნილი“ სხდომა, რომელზეც რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ რუცკოის მეთაურობით ხალხის „რჩეულნი“ პირდაპირ ბაზრულად ეცხმოდნენ თავს საერთოდ საქართველოს და კერძოდ შევარდნაძეს (ცნობილმა შავრაზმელმა ბობურინმა შევარდნაძის მოსკოვში ჩაყვანა და ლამის გასამართლებაც კი მოითხოვა!)...

ვფიქრობ, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან ერთად ყოფილი „უფროსი საძმოდან“ ეს გამოლაშქრებაც ბ-ნ ე. შევარდნაძის, უპირველეს ყოვლისა კი საქართველოს სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან, როცა მტერი უკმაყოფილოა, ჩანს, მისთვის კარგად ვერ არის საქმე...

ფელიქს კოტიაშვილი



კანონი ყველასათვის თანაბარი უნდა იყოს

ღელვანდელმა მთავრობამ რომ რეალური ნაბიჯი გადადგა საბაზრო ეკონომიკის გზაზე, ეს იქიდან ჩანს, რომ გაათავისუფლა ვაჭრობა და შესაბამისად, ფასებიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება იყიდოს და გაყიდოს, დააწესოს ფასი თავის საქონელზე და კანონის მიხედვით მისი ამ უფლების ხელყოფა ეკრძალება ყველა სახის ორგანოს და მათ შორის, რა თქმა უნდა, მილიციასაც.

საქონლის გაყიდვა შეიძლება ყველგან — ქუჩებში, საცხოვრებელ სახლებთან და ა.შ. გამონაკლისია ზოგიერთი ადგილი და მეტროპოლიტენის სადგურების ვესტიბიულები, სადაც, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მტკიცებით, დაუშვებელია ნებისმიერი სახეობის საქონლით ვაჭრობა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. სწორედ მეტროს სადგურების ვესტიბიულებშია გაჩაღებული ვაჭრობა და ხელისშემშლელიც თითქმის არავინ სჩანს, თუ არ ჩავთვლით მეტროპოლიტენის მილიციის ზოგიერთი მუშაკის უცნაურ თავგამოდებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ შერჩევის მეთოდით ცდილობენ განდევნონ მეტროს ვესტიბიულიდან ზოგიერთი, ეტყობა, მათთვის „არახელსაყრელი“ ვაჭრობის მსურველი.

აბა, სხვა რა გამართლება უნდა მოეძებნოს ამ ფაქტს, რისი შემსწრეც და თვითმხილველიც მე თვითონ გახლავართ მეტროს სადგურ „ეარკეთილის“ ვესტიბიულში. საქმე იმაშია, რომ მილიციელი, რომელიც მეტროს ამ უბანზე ყოფილა გაპიროვნებული, დიდის მონდომებით ცდილობდა ვესტიბიულიდან გაეძევებინა მოხუცი მანდილოსანი, რომელიც ორად-ორი იასამნის კონის გაყიდვას ცდილობდა. ერთი შეხედვით, წესრიგის დამცველი თითქოს კანონს იცავდა, მაგრამ რატომღაც თვალს კი ხუჭავდა იქვე არხეინად მოკალათებულ საღეჭი რეზინით, სიგარეტებით, კანფეტ-შოკოლადებისა და ათასი რამე-რუმეებით მოვაჭრეებზე. კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ მილიციელმა, როცა ამ უსამართლობის შემზედვარე ხალხისაგან წინააღმდეგობას წააწყდა, თავის გამართლება ასეთი სიტყვებით სცადა: რა ვქნა, ხალხო, აქ ვაჭრობა აკრძალულია და ამ ქალს კი იმიტომ ვერჩი, კოოპერატივს ყვავილების გაყიდვა უჭირსო.

ამ შემთხვევაში არაა ძნელი იმის თქმა თუ ვის ინტერესებს უფრო იცავდა წესრიგის დამცველი — სახელმწიფოსას, კოოპერატივისას თუ საკუთარი ჯიბისას, მაგრამ მთავარი კი ისაა, რომ კანონი ყველასათვის თანაბარი უნდა იყოს და იგი არ უნდა იქცეს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკისთვის საკუთარი ჯიბის გასაქელების წყაროდ.

სერგო ჯანაშია

ქრონიკული შეცდომები

(პასუხი თ. მირიანაშვილის წერილზე „შავბნელი ჟამის ქრონიკა“)

ნოდარ გრიგალაშვილი

* * *

მომავლის მეისტორიე როცა ჩვენი დროის პრესას გადახედავს, არ არის გამორიცხული პუბლიცისტიკა და პროსტიტუცია სინონიმებად დააწყვილოს.

მწერლობის ერთ-ერთი მეტად სერიოზული ჟანრი — პუბლიცისტიკა, ჩვენს დროში იქცა მზის ქვეშ სასურველი ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლის იარაღად. მართალია მედროვეთათვის ეს ხერხი არ ახალია, ძველია, მაგრამ საბჭოური 68 წლის მანძილზე თითქმის ყველა ერთ ჰანგზე მღეროდა და პუბლიცისტიკაც ერთ ჩაბინძურებულ საწოლზე მიჯაჭვულ მეძავს ჰგავდა.

გამონაკლისი ავტორები არსებობდნენ, მაგრამ გამონაკლისი წესს მხოლოდ ადასტურებს.

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების პუბლიცისტიკა, წინარე დროისაგან განსხვავებით, რამდენიმე სარეცელზე იქნა გართხმული, რისი მიზეზიც დროისა და კონიუნქტურის რამდენიმეგზისი ცვალებადობა უნდა იყოს.

აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი რამ მოხდა ამ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

მე ერთ სიუჟეტს შემოგთავაზებთ, ჟამთა ცვლა რომ უფრო ხელშესახებად დაიხატოს.

1988 წლის ნოემბერში თბილისის იპოდრომზე გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. ეროვნული მოძრაობა მასიურად ვგონებ იმ მიტინგიდან აგორდა.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტები.

მომიახლოვდა ერთი ჩემი თანატოლი, ნაცნობი, ყოფილი კომკავშირის ცეკას პასუხისმგებელი მუშაკი და მკითხა, ესენი ვინ არიანო. ხელი ქაქუცასა და ალექსანდრეს სურათებისაკენ გაეშვირა.

მე ავუხსენი, ვისი სურათებიც მოჰქონდათ.

ქაქუცა ვინღააო (ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი გაგონილი ჰქონდა). ვუთხარი ვინც იყო ქაქუცა.

ახლა იქნებ აღარავინ დაიჯეროს, მაგრამ დასტურ ვამბობ, ახალგაზრდა ქართველ კომკავშირელს სახე ზიზღით მოეღრიცა.

ეს იყო 1988 წლის ნოემბერში.

გადახედეთ 1988 წლის გაზეთებს, ან ტელეგადაცემები გაიხსენეთ (უფრო ადრინდელზე რომ არაფერი ვთქვა) და თქვენ ნახავთ სწორედაც ზიზღით დაწვრილ წერილებს (გამოსვლებს) ჩვენი ეროვნული მოძრაობის თავკაცების, გნებავთ, ჩვენი ისტორიული გმირების შესახებ.

ან მაშინ გამოსულ წიგნებს ჩახედეთ „რკინის სერგოზე“ და მისთანებზე...

ყველაფერ ამაში იმ დროს, ე.ი. 4 წლის წინ, არაორდინალური არაფერი იყო.

იმ ახალგაზრდის ზიზღით მოღრეცილი სახე მაჩვენებელი გახლდათ ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის განწყობისა.

იმ ახალგაზრდის ზიზღით მოღრეცილი სახე მისთვის იმის გარანტიც იყო, რომ მზის ქვეშ სხვაზე უკეთესი ადგილი ექნებოდა, რადგან იმჟამად ადგილის მიმცემები ლენინის იდეური მემკვიდრენი იყვნენ და არა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა...

ერთი წლის შემდეგ, ვთქვათ, 1989 წლის შემოდგომაზე, იმ ახალგაზრდას ქაქუცას სურათის დანახვაზე სახე აღარ წაეშლებოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცილობლად გამოსწორდებოდა, არა, უბრალოდ, ქაქუცას გინებისათვის სკამს ვეღარ მიიღებდა. კონიუნქტურა უკვე სხვაგვარი გახლდათ. კომუნისტები ახლა თავადაც აღარ იკლავდნენ თავს ლენინის შვილიშვილობაზე...

ეს ნეიტრალური მდგომარეობაც იმ დროის პრესაშია ასახული.

კიდევ ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის შემოდგომაზე, ერთ დროს ქაქუცას სურათის შემხედვარე ზიზღით სახემოღრეცილი ახალგაზრდა, ალბათ ჩოლოყაშვილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სურათებით, შესაძლოა გამსახურდიას პორტრეტითაც, გულშიჩაკრული დარბოდა თბილისის ქუჩებში.

პრესაშიც უკვე ასეთივე პათოსის წერილები ქვეყნდებოდა. ყველაფერში ერია სიტყვა ეროვნული და ყვერაფერი ეროვნული უკავშირდებოდა გამსახურდიას სახელს. ამ უკანასკნელის მხრივ პრეხა ისე შორს წავიდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ერთ-ერთი გაზეთი იმასაც კი განაცხადებს: თუ ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არ აირჩევთ, ჩვენი გაზეთის კოლექტივი თვითლიკვიდაციას „იზამს“, დავიხურებითო!.. (ტყუილს ვერ ვიტყვი, თავებს დავიხოცავთო, ასეთი სურვილი არ გამოუთქვამთ).

სხვათაშორის, სწორედ იმ გაზეთმა მიაყოლა პირველი ჭიტლაყი დამარცხების შემდეგ ზ. გამსახურდიას.

და, აი, ახალ დროში იწყება პრეზიდენტყოფილის სახელთან ერთად ეროვნული მოძრაობის გაჭიაქება.

ყოველივე ამის ამსახველ საინფორმაციო საშუალებებში (პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში) კი ერთი და იგივე ადამიანები მუშაობდნენ ამ ოთხი წლის წინ და მუშაობენ ახლაც. იგივე ხალხი წერდა და ლაპარაკობდა მაშინაც და წერს და ლაპარაკობს დღესაც. პოზიციების ამგვარ ცვალებადობას კი დროისა და გარემოების შეცვლასთან ერთად, საფუძვლად უდევს მავანთა მისწრაფება — ასიამოვნოს მას, ვინც განუსაზღვრავს მზისქვეშეთში პრესტიჟულ ადგილს. იცვლებიან ისინი და იცვლება პოზიციებიც მედითირამბეებისა.

არადა, ამ დროს, გვავიწყდება მზისქვეშეთში ადგილის ნამდვილი, შეუცვლელი განმსაზღვრელი — ღმერთი, ანუ სინდისი, ანუ პატიოსნება.

სწორედ ამ აზრით ვთქვი წერილის დასაწყისში — მომავლის მეისტორიე როცა ჩვენი დროის პრესას გადახედავს, არ არის გამორიცხული პუბლიცისტიკა და პროსტიტუცია სინონიმებად დააწყვილოს-მეთქი.

აქვე მინდა მკითხველისა და, თუნდ, მომავლის იმ მეისტორიის ყურადღება ერთ გარემოებაზედაც მივაქციო.

ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოვლენის შესახებ აზრის გამოცვლა ბუნებრივი და გასაგები აქტია, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში პროგრესის მაუწყებელიც, ამიტომ არ მინდა ისე აღიქვას ვინმემ ზემოთქმული, თითქოს აზრის შეცვლის გამო (რისგანაც საბედნიეროდ თავადაც არ ვარ „დაზღვეული“) ვსაყვედურობდე ვისმე. არა, ლაპარაკია აზრის კონიუნქტურული თვალსაზრისით ცვალებადობაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ შარშან ჩვენმა პუბლიცისტებმა, კონიუნქტურის გამო ეროვნულ მოძრაობაში თუ რამ სასიკეთო გაფაჩუნდა, ყველაფერი ერთბაშად ერთ კაცს, ზ. გამსახურდიას მიაწერეს.

ლაპარაკია იმაზე, რომ წელს, თუ რამ ზ. გამსახურდიას დაბრალდა, მთელი ეროვნული მოძრაობაც ზედ მიაყოლეს, ყველაფერს ერთბაშად ჩაილურის წყალი დაალევინეს.

* * *

როგორც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელი და განმაჭიქებელი წერილი უკანასკნელი წლების ეროვნული მოძრაობის შესახებ, სწორედ იმ გაზეთში დაიბეჭდა, რომლის რედაქტორიც გახლავთ ამ სტრიქონების ავტორი. მხედველობაში მაქვს ბატონ თემურ მირიანაშვილის სტატია „შავბნელი ჟამის ქრონიკა“ ანუ „ჩვენი ტრაგედიის ფესვები“ („საქართველო“ № 17 (73) I.V.1992 წ.).

ამთავითვე მინდა განვაცხადო, ზემოთმინიშნებულ უპრინციპო, მედროვე პუბლიცისტებსა და თ. მირიანაშვილს შორის დიდი ზღვარია.

ბატონ მირიანაშვილს არ შეიძლებოდა აღნიშნული წერილი დაეწერა კონიუნქტურული მოსაზრებით. ამას მაფიქრებინებს ორი გარემოება: 1) იგი ალბათ უნდა გრძნობდეს, რომ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფალს არ შეიძლება ხელს აძლევდეს მთელი ეროვნული მოძრაობის გაბიაბურება. რამდენადაც, ჯერ ერთი, ამ მოძრაობის ვერცერთი წარმომადგენელი ამ ეტაპზე, სხვათა და სხვათა გარემოებების გამო, ვერ ჩათვლის თავს მის სერიოზულ კონკურენტად, ვთქვათ, მომავალ არჩევნებში. ამდენად, მას როგორც პოლიტიკოსს თავის უმცროს კოლეგებთან თანამშრომლობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე კონფრონტაცია (რისი საჭიროებაც არც პიროვნული და არც საზოგადო თვალსაზრისით მისთვის არ დგას). უფრო მეტიც, ბატონი ედუარდ შევარდნაძე ეცდება, და რამდენადაც დღეს უკვე ჩანს, ცდილობს, რომ ეროვნული მოძრაობიდან მოსული თაობა აქციოს თავის დასაყრდენად, რადგან ეს თაობა ხალხის თვალში არ არის კორუმპირებული (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) და ამ თაობას აქვს მეტი გავლენა და ძალა, ვიდრე ძველ კორუმპირებულ გუნდს. აქედან გამომდინარე, თ. მირიანაშვილის წერილი, როგორც იტყვიან, ხელისუფლებისათვის კოპის გასაგორებლად (ასეთი რამ კი ჩვენში იშვიათად არ ხდება) არ დაიწერებოდა. 2) თ. მირიანაშვილმა იგივე პათოსის წერილი სათაურით „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს, ყოფილ არაფორმალებს?!“ გაბედა და დაწერა იმ დროში, როცა ამისთვის დიდი ხიფათი და უსიამოვნება იყო. მოსალოდნელი. აღნიშნული წერილიც გაზეთ „საქართველოში“ დაისტამბა...

ერთი სიტყვით, ჩემი სტატიის ადრესატი, რასაც წერს, ნამდვილად სწამს. ამასთან, წერს მშვენივრად და არგუმენტირებულად. გარდა ამისა, მისი თვალსაზრისი 1988—1991 წლების მოვლენების შესახებ არ გახლავთ მოსაზრებანი კერძო კაცისა, იგი ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის პოზიციას გამოხატავს.

ერთიც არის, ბატონ მირიანაშვილის წერილი პუბლიცისტური თვალსაზრისით იმდენად ოსტატურადაა დაწერილი, რომ არ არის გამორიცხული, ის ნაკომკავშირალი ახალგაზრდა (მისნაირებიც), რომელიც, ვინ იცის, იქნებ მართლაა ჭკუაზე მოსული, ისევ ჭკუიდან გადააცდინოს და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტის დანახვაზე კვლავ სახე მოეღრიცოს ზიზღით...

სწორედ ამიტომ მინდა, რომ გაეცეს თ. მირიანაშვილის წერილს პასუხი და არა იმ მედროვეებს, რომელთა ნაწერი საზოგადოებაზე მაინცდამაინც დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

თ. მირიანაშვილის წერილი თავისი გულწრფელი პათოსითა და ემპირიული სიმართლით საშიშია. საშიში იმ თვალსაზრისით, რომ მან ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა. ეროვნული მოძრაობის შეცდომებს, თვით ეროვნული მოძრაობა. თუ ეს ტენდენცია განვითარდა, შესაძლოა მალე უკიდურესმა ნიჰილიზმმა იჩინოს თავი იმედგაცრუებულ საზოგადოებაში, რისი სიმპტომებიც უკვე აშკარად ჩანს...

* * *

ერთადერთი დადებითი ფრაზა, რომელიც ერთობ ვრცელი წერილიდან ავტორმა ყოფილ არაფორმალთა მიმართ გაიმეტა, არის შემდეგი: **„ვერავინ უარყოფს, რომ ულტრათა მოძრაობის არაერთი ლიდერი 70—80-იან წლებში რეპრესირებული იყო. ამდენად არც მათი წვლილის უარყოფას აპირებს ვინმე“.** მაგრამ მთელი სტატია ორი გაშლილი გვერდის მოცულობით სწორედ მათი წვლილის უარყოფას ეთმობა.

წერილში გაბნეული დასკვნებით ეროვნული მოძრაობის

შედეგებს თ. მირიანაშვილი ასე წარმოგვიდგენს: **„1988 წლიდან ჩვენში დაიწყო აბსოლუტურად დესტრუქციული ხასიათის პოლიტიკური პროცესები, რომელთაც ქართველ ერს მოუტანეს მხოლოდ ნგრევა, განხეთქილება, სისხლისღვრა. სასიკეთო კი ამ პროცესებს არაფერი მოუტანიათ“.**

“უკომპრომისო ბრძოლას საქართველოსთვის არაფერი მოუტანია, გარდა უბედურებისა“.

“ჩვენს ოთხწლიან ბრძოლას ჩემი ღრმა რწმენით, პოზიტიური მონაპოვრები არ გააჩნია. მისი შედეგები წმინდა ნეგატიურია“.

უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები **“მიღწეულია არა ჩვენი პოლიტიკური პარტიების ძალისხმევით, არამედ წარმოადგენს საერთო იმპერიული პროცესის შედეგს. ამის დასტურია ის, რომ კომუნისტური რეჟიმი მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაემხო“.**

“ასე რომ, ყოველივე ის კარგი, რაც უკანასკნელმა წლებმა მოგვიტანა ქართველებს, ყოველგვარი უკომპრომისო ბრძოლის გარეშეც მოგვეცემოდა. მეტი და უარესიც შეიძლება ითქვას. 1988 წლიდან ჩვენში დაწყებულმა პროცესებმა მხოლოდ მუხრუჭის როლი შეასრულეს“.

დაბოლოს, კიდევ ერთ ციტატას შემოგთავაზებთ, რომელიც წერილის საერთო დასკვნადაც გამოდგება: **„1988— 1991 წლები იყო არა ეროვნული აღმავლობის ნათელი ხანა, არამედ ერთი ყველაზე შავბნელი ჟამი საქართველოს ისტორიაში“.**

ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას კი თ. მირიანაშვილს აძლევს იმ რეალური სურათის წარმოდგენა, რომელსაც ის ასე ხატავს — **“უკომპრომისო ბრძოლამ გამოიწვია დიდი ნგრევა, ცხოვრების ჩვეული რიტმის მოშლა და, რაც მთავარია, მრავალი ადამიანის დალუპვა“.**

ერთი შეხედვით, სადავო არაფერია. 1988—1991 წლებში იყო ნგრევა, იყო ცხოვრების ჩვეული რიტმის მოშლა, იყო მსხვერპლი. ის კი არა, ახლა თბილისში ასეთი ხუმრობაც დადის — ხრუშჩოვმა რომ სთქვა 1980 წელში კომუნიზმში ვიქნებით, მართალი უთქვამს, ვყოფილვართ და ვერ გაგვიგიაო. კი ბატონო, თვით დაქცეულ ე.წ. უძრაობის წლებთან შედარებითაც კი, ცუდად წავიდა ქვეყნის ყოფის საქმე, მაგრამ ეს მართლა ეროვნული მოძრაობის ბრალი იყო? თუ ასეა, რატომ უჭირთ იმ რესპუბლიკებს, სადაც უკომპრომისო ბრძოლა არ უწარმოებიათ იმპერიის წინააღმდეგ?

თ. მირიანაშვილს ჰგონია, რომ იმპერია მხოლოდ იმპერიის მესვეურებმა დაშალეს და ეროვნულ მოძრაობათა ძალისხმევა არაფერ შუაშია. პირიქით, ჩვენი ძალისხმევა ამ სასიკეთო პროცესის მუხრუჭის როლს თუ თამაშობდაო...

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ლოგიკა, ჩემის ფიქრით, ასეთია. როცა რევოლუცია ზემოდან ხდება, იმ ზემოთ ან ანგელოზები სხედან დღენიადაგ პყრობილ ხალხთა განთავისუფლებაზე რომ ფიქრობენ, ან მათ რაღაც უჭირთ.

იმპერიის სათავეში რომ ანგელოზები არ ისხდნენ ეს 9 აპრილის, აფხაზეთის, შიდა ქართლის, ბაქოს, ფერგანის, ყარაბახის, ბალტიისპირეთის მოვლენების შემსწრე ხალხს არ უნდა გვესწავლებოდეს.

და მაინც, რატომ დაიწყეს მათ რევოლუცია ზემოდან? იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ეს მოხდა რუსეთში 1861 წელს, 1905 წელს. რუსეთის იმპერიას გაუჭირდა ეკონომიურად (უკუღმართი სისტემის და არა თბილისის მიტინგების გამო). 1905 წელს მან დაიწყო სესხისათვის მათხოვრობა ევროპასა და ამერიკაში. ასე მოხდა ჩვენს დროშიც. და თუ რუსეთმა დასავლეთში დიდი სესხი იშოვა, „ესენგეში“ შემავალი ქვეყნები მისგან თავს ძალიან დიდხანს ვეღარ დაიხსნიან. საქართველოს უკომპრომისო ბრძოლამ კი ჩვენი ქვეყანა „ესენგეს“ გარეთ დასტოვა. განა ახსნა სჭირდება იმას, რომ, თუნდაც მშიერი კუჭით ყოფნა, უკომპრომისო ბრძოლა სჯობს იმას, რასაც წყეულ ესენგეში, ანუ იმპერიაში ხელმეორედ შესვლა გვიქადდა?

1905 წელს მიხეილ ჯავახიშვილი ერთ პუბლიცისტურ წერილში წერდა: ნეტავ ევროპამ რუსეთს სესხი არ მიაოხროსო. ეს პრობლემა ახლაც გვიდგას, რადგან გაჭირვებული ვერ იცლის ჩვენთვის, გამაძღარმა კი შეიძლება მოიცალოს...

თ. მირიანაშვილის წერილს დამაჯერებლობას სძენს ის ფაქტი, რომ უკომპრომისო ბრძოლის შედეგად საქართველოში სისხლი დაიღვარა, მაგალითად, 9 აპრილს, მაშინ, როცა, ვთქვათ, თურქმენეთი ასეთ ტრაგედიას ასცდა. იმპერიის რღვევის პროცესით კი მეტ-ნაკლებად ორივემ ვისარგებლეთ.

რა შეიძლება ამაზე ითქვას და, საერთოდ, რითი შეიძლება გამართლდეს ის მსხვერპლი, რაც საქართველომ თუნდაც 9 აპრილს გაიღო?

ჩვენს საზოგადოებაში ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს იყო უაზრო ბრძოლა. რომ ბიჭი, რომელიც 9 აპრილს ტანკს ჯოხით სცემდა, სიმბოლური სახე იყო ვეშაპის წინააღმდეგ მდგარი უმწეო, პატარა ქვეყნისა.

ერთნი 9 აპრილს დამარცხებად სთვლიან, მეორენი გამარჯვების დღედ. კი, დამარცხებული ხარ, როცა მტერი უდანაშაულო გოგონებს ნიჩბებითა და მომწამლავი გაზებით დაგიხოცავს, როცა მტერი შენს ეროვნულ დროშებს თავზე გადაგახევს, მაგრამ, არის ერთი მაგრამ...

ზოგჯერ კონკრეტულ სიტუაციაში დამარცხება ისტორიული თვალსაწიერიდან მომავალი გამარჯვების პრელუდიაა. დიდი ბრძოლის გარდაუვალი მონაკვეთია. მაგალითისათვის ისტორიის ანალებიდან მოვიხმობ ორ ფაქტს. მე-5 საუკუნეში სპარსეთის მეფე იბარებს ორ განმგებელს — ქართლის პიტიახშს არშუშას და სომხეთიდან ვარდან მამიკონიანს. სთავაზობს მაზდეანობა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც დახოცავს და ქვეყანასაც აუწიოკებს.

არშუშა პიტიახში დათანხმდა მზაკვარ ტირანს, მიიღო მაზდეანობა, რითაც თავიც გადარჩინა და სამშობლოც იხსნა. ვარდან მამიკონიანმა უარყო მეფის წინადადება, რითაც თავიც წაგო და სასომხეთიც დაარბიეს.

კონკრეტულ სიტუაციაში არშუშამ გაიმარჯვა — თავი და სამშობლო იხსნა.

კონკრეტულ სიტუაციაში ვარდანი დამარცხდა — თავადაც დაიღუპა და ქვეყანაც აუოხრეს.

არშუშა პიტიახში კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მოიქცა.

კონკრეტული სიტუაციისათვის არაგონივრული იყო ვარდან მამიკონიანის წინაალმდეგობა ძლიერ და გაბოროტებულ მტერთან.

გადის წლები.

მაზდეანობას იძულებით შეგუებული მამის, არშუშას ქრისტიან შვილს ვარსქენ პიტიახშს ერთი ნაბიჯიღა რჩება მაზდეანებთან, მტერთან მისასვლელი და გადადგა კიდეც ის ნაბიჯი.

შუშანიკისა და მისი მამის მკვლელებს შორის კი პირშეუკრავი უფსკრულია გაწოლილი.

ვარდანის სიკვდილით. მისი ასულის სიცოცხლეა განათებული.

არშუშას სიცოცხლე კი მისი და მისი შთამომავლის ზნეობრივი სიკვდილის დასტური იყო.

ამდენად, მაღალი ზნეობის კრიტერიუმიდან არაგონივრული იყო არშუშა პიტიახშის ქმედება და გონივრული მამიკონიანის თავგანწირვა.

იგივე ითქმის 9 აპრილის და ამ დღის წმიდა მსხვერპლთა მიმართ. მათი სიკვდილი, იმ დღის დამარცხება, პირშეუკრავ უფსკრულად უნდა აღიმართოს დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის. მათი ხსოვნა მახვილია მონობასთან შემგუებლობაზე. და თუ ასე არ ხდება, ან არ მოხდება ეს იმ დღის ბრალი არ არის, ჩვენი ბრალია და ჩვენგან შეურაცხყოფაა იმ წმიდა მსხვერპლისა.

მე მესმის, ამგვარი უკომპრომისო ბრძოლა პერმანენტული და ყოველდღიური თუა, ეს ერის თვითმკვლელობაა. ერს ლავირება და ელასტიურობა უნდა შეეძლოს. ერთხელ მომხდარი 9 აპრილი ტრაგედიაა შესაძლებლისა და სასურველის კატასტროფული სიშორით გამოწვეული, მაგრამ ორჯერ და სამჯერ ჩატარებული მსგავსი აქცია უკვე ფარსი გახლავთ. ეს ფარსი ჩვენში არ დადგმულა, ამიტომ 9 აპრილს და, საერთოდ, უკომპრომისო ბრძოლას, დარჩეს თავისი დიდი ისტორიული ადგილი.

ვიცი, ბატონი თ. მირიანაშვილი და სხვაც ბევრი ლირიკაში ჩამომართმევს ასეთ მსჯელობას. დიდი ზნეობის გადასახედიდან, იქნებ გულუბრყვილოც ჩანდეს კონკრეტული პოლიტიკური აქციის შეფასება, მაგრამ ჩემი თვალსაზრისის დასტურად კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან ჩვენი ისტორიიდან.

764 წელს ხაზარებმა ქართლი აოხრეს. „მატიანე ქართლისაი“ ხაზართა შემოსევის მიზეზად შემდეგ გარემოებას ასახელებს. ქართლის ერისთავს, ჯუანშერს ერთი სილამაზით განთქმული დაი ჰყოლია. ხაზართა მეფეს, ხაკანს ამ ქალის სილამაზის შესახებ „მიესმა ხმა“, მიუგზავნა მოციქული და ითხოვა ჯუანშერის და ცოლად. არც ქალმა, არც დედამ და არც ძმამ არ ინდომეს წარმართი, და შეურაცხყოფილებმა მწარე უარი გააყოლეს ხაკანის მოციქულს.

ქართველთა უარით გაგულისებულმა ხაზართა მეფემ გამოგზავნა ლაშქარი. ქართლი ააოხრა, ტფილისი შემუსრა, ხოლო ჯუანშერი და მისი მშვენიერი და ტყვედ წარიყვანეს. როცა სამშობლოს საზღვრებს მიადგა, დარიალთან, ქალმა თავი მოიწამლა და ურჯულოს ცოცხალი არ ჩაბარდა. ამ ისტორიულ ფაქტზე მსჯელობისას თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: **“სარწმუნოებრივს სიძულვილს წარმართდამი დაუხშვია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი“-ო.**

ერთი ქალის გათხოვებაარგათხოვების გამო ქართლის დაქცევა იმ დროის ქართველთათვის ალბათ მართლაც იყო პოლიტიკური შეცდომა, მაგრამ, როგორც პიროვნება, ისე ერი არ ცხოვრობს მხოლოდ ერთი დღის წაგება-მოგებით.

(მით უფრო, ხაზარნი, ისე როგორც ჩვენს დროში წითელარმიელნი, თუ შემომჭრელნი იყვნენ, ადრე თუ გვიან მაინც დაეცემოდნენ ქართლს. ასეთია ბუნება მტრისა).

ერთი სიტყვით, 764 წელს ხაზარებმა ქართლი აიკლეს, ამით ერს სიცოცხლე არ შეუწყვეტია. მაშინ, ალბათ დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ გავიდა წლები და ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა.

იმ დიდი სულის მშვენიერ ქართველ ქალს კი დარიალთან თავი რომ არ მოეწამლა და თავის რწმენასა თუ ქართველობას არ შესწირვოდა, ეს ამაღლებული და ამაღლებელი მაგალითი ჩვენს ისტორიას არ შემორჩებოდა. ერი კი ისტორიიდან ასეთი ზნეობრივი მაგალითებით სარგებლობს, ასეთი მაგალითებით განიმტკიცებს სულს, ინარჩუნებს სიმტკიცეს და ალბათ სიცოცხლისუნარიანობასაც. რომ არა ეს ზნეობრივი გაკვეთილები დღეს ჩვენ ან სპარსელნი ვიქნებოდით, ან თურქები და ან რუსები.

1988—1991 წლების უკომპრომისო ბრძოლის წლებიც საქართველოს ისტორიაში დარჩება არა როგორც შავბნელი ჟამის ქრონიკად, როგორც ამას თ. მირიანაშვილი გვიმტკიცებს, არამედ ქრონიკად საქართველოს სინათლისაკენ ლტოლვისა, რომელიც დროებით ჩაახშო და დაბინდა ცალკეულ პიროვნებათა ლაგბმამოუდებელმა თავკერძობამ და უკომპრომისო ბრძოლამ ხელისუფლებისათვის საკუთარ თანამემამულეთა გაუბედურების ხარჯზე...

საქართველოს ეყოლება საკუთარი საზღვაო ფლოტი

(ბრიფინგი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან)

26—29 მაისს, სევასტოპოლში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსა და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მაღალჩინიან ოფიცრებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, შავი ზღვის ფლოტის განაწილების თაობაზე.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე თამაზ ცხაკაია, საქართველოს საზღვაო ძალთა მთავარსარდალი ალექსანდრე ჯავახიშვილი და სხვა სამხედრო პირები.

3 ივნისს, გამომცემლობა „სამშობლოს“ სააქტო დარბაზში დელეგაციის წევრები შეხვდნენ ჟურნალისტებს.

ბატონებმა თამაზ ცხაკაიამ და ალექსანდრე ჯავახიშვილმა მოკლედ უამბეს ჟურნალისტებს სიმფეროპოლის შეხვედრის მსვლელობაზე. აღნიშნეს, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძალზე საქმიან და კეთილმოსურნე ვითარებაში და თითქმის ყველა ძირითად საკითხში მიღწეულია შეთანხმება.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

— კონკრეტულად რა ნაწილი დარჩება საქართველოს შავი ზღვის ფლოტის შეიარაღებიდან?

— თ.ც. რაოდენობის დასახელება ამ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ მრავალი საკითხია მოსაგვარებელი, არადიპლომატიური და წინდაუხედავი ნაბიჯი იქნება. მოგეხსენებათ, ფლოტი ნაპირიდან იწყება. საქართველოს არასდროს ჰყოლია სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ყველაფერი [illegible]ლიდან იწყება. საჭიროა სათანადო კ[illegible]დრები, გასათვალისწინებელია რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა, არის სხვა ფაქტორებიც.

თავდაპირველად ჩვენი ფლოტის საკუთრებაში იქნება წყალქვეშა საწინააღმდეგო გემები, მაშველი გემების კლასი, ასევე პატარა სადესანტო გემები. ძირითადად მესამე რანგის კლასიფიკაციის საზღვაო ტექნიკა.

— როგორ აპირებთ კადრების მომზადებას?

— ა.ჯ. საოფიცრო კადრების მომზადება მოხდება ბათუმის საზღვაო სკოლის ბაზაზე, რომელსაც მალე აკადემიის სტატუსს მივცემთ. მიჩმანებს და მატროსებს მოვამზადებთ ფოთში. რუსეთის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დროს ამაზე დაწვრილებით გვქონდა საუბარი და ეს ასახულია ერთობრივ დოკუმენტში.

— რა ენაზე იწარმოებს სწავლება აღნიშნულ სასწავლებლებში?

— თ.ც. მოგეხსენებ თ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე ყველა სახეობის ჯარებში კადრების მომზადება ხდებოდა რუსულ ენაზე. ჩვენს ხელთ არსებული სამხედრო ლიტერატურა რუსულენოვანია. დრო რომ არ დავკარგოთ, ამ ეტაპზე სწავლება იქნება რუსულად. შემდეგ თანდათანობით მოხდება გადასვლა ქართულ ენაზე, რადგან უკვე ითარგმნება სათანადო ლიტერატურა.

— მართალია თუ არა, თითქოს ოჩამჩირესთან იმყოფება წყალქვეშა ნავი, რომელზეც მოთავსებულია ატომური [illegible]?

— ა.ჯ. არ არის მართალი. იქ დღეს იმყოფებიან მხოლოდ წყალზედა ბაზრების გემები. ატომური იარაღი იქ არ არის და არც არასოდეს ყოფილა.

— შეეხეთ თუ არა სიმფეროპოლის შეხვედრაზე უკრაინის საკითხს?

— უკრაინის საკითხს ჩვენ არ შევხებივართ, რადგან ჩვენ კონკრეტული ამოცანები გვქონდა გადასაწყვეტი.

მოამზადა
კ. ლიკლიკაძემ

ᲯᲔᲠ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ᲡᲢᲘᲕᲘ...

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ეს მსგავსი პასაჟები ფრანსუა რენე შატობრიანის მხატვრულ-ესთეტიკურ თხზულებაში „ქრისტიანობის გენია“ და ჯეიმზ ჯოისის რომანში „პორტრეტი ხელოვანის სიპაბუკისა“ მომდინარეობს მათ შემოქმედთა პირადი ცხოვრებიდან.

შატობრიანი, როგორც განმანათლებლური ეპოქის შვილი, უარყოფდა ღმერთის არსებობას, ქრისტიანულ მოძღვრებას მოძველებულად მიიჩნევდა და ადამიანის გონება წარმოედგინა ყველაზე მძლავრ იარაღად კაცობრიობის განვითარების გზაზე. ასე იყო განწყობილი ჯოისიც, როგორც ამ ეპოქის სულიერი მემკვიდრე.

როგორც შატობრიანის, ისე ჯოისის დედას ძლიერ აწუხებდათ შვილების ურწმუნოება, უფრო მეტიც, მათი მკვეთრი ამბოხი ქრისტიანული მოძღვრების წინააღმდეგ და, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარენი, გულმხურვალედ შევედრებიან შვილებს: დაუბრუნდით თქვენს მამა-პაპათა რჯულსო.

შატობრიანზე უჩვეულო შთაბეჭდილება მოუხდენია დედის უკანასკნელ თხოვნას, ცრემლები წასკდომია და უწამებია ქრისტე. და თავისი ჭაბუკური ცოდვა იმით მოინანია, რომ შექმნა „ქრისტიანობის გენია“ („რენე“ და „ატალა“, ჩვენშიც ცნობილი მოთხრობები), რათა დაეცვა ეს მოძღვრება თავის ადრინდელ თანამოაზრეთაგან.

ხოლო ჯოისზე ვერ გასჭრა დედის უკანასკნელმა თხოვნამ, მუხლებზე დადეჭი და ილოცე ჩემს სარეცელთანო. არამცთუ ქრისტეს რჯულზე მოქცევა, ეს სათხოვარიც კი არ შეუსრულა, თუნდაც გულგარეთ. და თუმცა მთელი ცხოვრება ტანჯავდა და აწამებდა თავისი ეს საქციელი და, ვინ იცის, რამდენჯერ მოლანდებია დედის საყვედურიანი გამოხედვა, მაინც ვერ ჰპოვა საკუთარ თავში იმის წადილი თუ უნარი, რომ ოდესმე სხვა თვალით შეეხედა ამ მოძღვრებისათვის. თუ არ სურდა, ნუ იწამებდა, მაგრამ დედის ხსოვნის წინაშე როგორღაც ეცადა ამ ცოდვის გამოსყიდვა — გული ასერიგად რომ ატკინა იმქვეყნად მიმავალს.

ხომ გახსოვთ ბალზაკის ნოველა „ათეისტის წ[illegible]ა“?

დეპლენისათვის სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ღრმად მორწმუნე ბურჟას სულაც არ უთხოვია, ქრისტეს რჯული შენც იწამეო; და თუმცა დეპლენს მსოფლმხედველობა არ შესცვლია და კვლავაც შეინარჩუნა თავისი განდგომილება ამ მოძღვრებისაგან, მაგრამ განსაკუთრებულმა პატივისცემამ ბურჟას მიმართ მის შეგნებაზე მაინც იქონია თავისი ზეგავლენა: წელიწადში ოთხჯერ ეკლესიაში წირვას იხდიდა იმ კეთილშობილი ადამიანის სულის მოსახსენებლად, მამობილად რომ მოევლინა. მისთვის ეს ისეთ მოვალეობად იქცა, რომ არაფრით აღარ დაურღვევია.

მაშ, ჯოისის გულში რატომ ვერ შეირხა ასეთივე სიმი?

რაც დეპლენმა შეძლო, მისთვის რატომ აღმოჩნდა მიუწვდომელი?

თან ეს ფარული წუხილიც რომ არა და არ ეშვებოდა და, რომანის გარდა პიესაშიც („მოკვეთილნი“) მკაფიოდ გამომჟღავნდა. თუ მართლა ასე აწუხებდა, რისთვის იტანჯავდა თავს: მაშინ თუ ვერ შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა, მერე მაინც მოენანიებინა და დედის სულის მოსახსენებლად წირვა გადაეხადა, ერთადერთხელ მაინც. თუ შიშობდა, ქრისტიანული წესის აღსრულებამ ვაითუ ამ რჯულისაკენ გადამხაროსო, აგერ დეპლენისნაირი, ვინ იცის, რამდენი იყო — რატომ ისინი არ დაუბრუნდებიან ამ რჯულს?! და თუ მაინც გადაიხრებოდა, ან ამით ისეთი რა დაშავდებოდა — ათეისტური მრწამსის მტკიცედ შენარჩუნების გარეშე განა ვერ იცოცხლებდა?

არადა, ასეა: ვერ იცოცხლებდა. ჯოისი სიცოცხლეზე არანაკლებად თავის შემოქმედებით მოღვაწეობას აფასებდა, თავის მხატვრულ-იდეურ რწმენას და ისეთს ვერაფერს მოითმენდა, რაც ამ რწმენას იოტისოდენადაც დააზიანებდა — ეს იყო მონოლითური მრწამსი, გამოკვეთილი ტენდენცია, რასაც უნდა მისადაგებოდა ყველაფერი, თვით რეალური ცხოვრების სურათები... ეს სურათები თავისებურად ლაგდებოდა, ისე, როგორც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ, და ამ თავისებურებას, ამ გარკვეულ მიკერძოებას გამართლება ეძებნებოდა სიმბოლურ გააზრებებში.

ის, რაც შიშველი ტენდენციაა რეალისტური თვალთახედვით და არცთუ მაინცდამაინც ვარგისი მხატვრული ქმნილებისათვის, აქ სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ჯოისის სტილური მანერის ფონზე. ვთქვათ, როცა ირლანდიელი მწერალი თავის შემოქმედებაში ნაკლებად წარმოგვიდგენს ირლანდიელ პატრიოტთა სახეებს, მათ, ვინც თავისი ერისა და ქვეყნის ბედზე დაფიქრებული და მის გადასარჩენად იღწვის, ეს სწორედ ამ ტენდენციის გამოვლენად მიიჩნიეს და არა რეალური ვითარების გადმოცემად, რადგან რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ქვეყანა, რაც უნდა წარკვეთოდეს სასო, მხოლოდ ორი-სამი მამულიშვილის იმედად არასოდეს არ იქნება დარჩენილი.

ეგ კი: მის რომანსა და პიესაშიც ახლა დედის ეს ვედრება ამოტივტივდებოდა — ქრისტეს რჯულის ნაცვლად ირლანდიის ბედისადმი თანაგრძნობას რომ შესთხოვს და ჯოისს (და მის პერსონაჟს) შეწუხებით ახლა ამ უკანასკნელი სათხოვარის შეუსრულებლობა შეაწუხებდა. შეაწუხებდა შვილის მოვალეობა მშობლის წინაშე, მაგრამ ეს მაინც ვერ აღუძრავდა მისი მტკიცე რწმენისათვის უცხო განცდებს.

„თავისივე გოჭებს რომ თქვლეფავსო“, სატირიკოსის ნათქვამია, რათა უფრო მწარედ და დაუნანებლად გაემეტებინა ის ვიწრო სარბიელი, რისთვისაც სხვებს სამშობლო და სალოცავი დაერქმიათ. თუ მის სიტყვებს გადამეტებულ სიმკაცრეს ჩამოვაცილებთ, სხვაგვარად ასე შეიძლება გამოიხატოს ჯოისის გულისთქმა: ირლანდიას როგორ შეიძლება ენდო, როცა თვითონვე არ ინდობს თავის საუკეთესო შვილებსო.

ირლანდია რა გამონაკლისი უნდა ყოფილიყო, როცა ყველა ქვეყანა ასეთია, დიდიც და მცირეც: თავის საუკეთესო შვილთა გამმეტებელი. მაგრამ რაკი ჯოისს სურდა მაინცდამაინც თავისი ქვეყანა დაემუნათებინა, საბაბს ძებნა არ ჭირდებოდა, არც ისტორიის სიღრმეები იყო საჩხრეკი — თვალწინ აღმართულიყო მეტად სახიერი ნიმუში, თუ რა უღვთოდ შეიძლებოდა მოქცეოდა ირლანდია თავდადებულ მამულიშვილს, ვისაც სხვა არაფერი სწამდა ერის გამოხსნაზე უფრო ძლიერ. ამ ტრაგიკულმა და საბედისწერო ამბავმა, ჩარლზ პარნელის გაწირვამ ირლანდიელთა მიერ, მართლაც გადაწყვიტა ირლანდიის ბედ-იღბალი და ტყვეობისაგან ლამის თავდაღწეული კვლავ რკინის ხუნდებში გაიჭედა. ჯოისსაც **ამან მოანდომებინა საშუალოდ გასცლოდა** თავის კუნძულს და თავშესაფარი ევროპის მიწაზე ეძია. იგი ისე იყო შეძრწუნებული, სამშობლოშიც რომ დარჩენილიყო, სულიერ ემიგრაციას ვერც იქ ასცდებოდა.

თითქოს უცნაურია, ასე განსაკუთრებულად რომ განიცადა ჯოისმა პარნელის ბედი. ირლანდიელთა ეროვნული გმირი ხომ იმ იდეალის ხორცშესხმას მიელტვოდა, რაც თანადროული ევროპისათვის გაუგებარი გამხდარიყო — ეროვნულ თავისუფლებას. რაც პარნელს სწამდა, არ სწამდა ჯოისს და რაც ჯოისს ადამიანის ხსნა ეგონა, პარნელის მსოფლაღქმით დაბნეულობას ნიშნავდა. ასე რომ, ჯოისი დიდად კმაყოფილიც კი უნდა ყოფილიყო პარნელის გარდუვალი დამარცხებით. და ეს მარცხი კიდევ ერთი დასტური უნდა ყოფილიყო იმისა, რომ მდინარების საპირისპიროდ სიარული მხოლოდ ასე შეიძლება დასრულდეს. გარდუვალობა იმთავითვე ნათელი იყო: და თუმც პარნელი არაფერს შეპუებია და მედგრად მიეტანა ინგლისსა და ირლანდიას შორის შემაკავშირებელ ძაფებს, რათა თანმიმდევრულად და მალევე დაეწყვიტა, ერთიც რომ არ დარჩენილიყო საღი, მისი რწმენა და ნებისყოფა უთუოდ უნდა შესჯახებოდა არამარტო იმპერიასა და ირლანდიაში სახელდახელოდ შექმნილ მის საწინააღმდეგო მოძრაობას, არამედ ევროპის საზოგადოებრივ აზრსაც, რომელიც ასეთ პროტესტანტს ვერ მოითმენდა. ინგლისს ისეთი მძლავრი იარაღი ეპყრა ხელთ — ევროპის მორალური თანადგომა და ირლანდიელთა გამოსვლები — რომ პარნელის გაბრძოლება მხოლოდ ერთ უბრალო, თუნდ რომანტიულ, ეპიზოდად შერჩებოდა ევროპის უახლეს ცხოვრებას.

გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს პარნელი და გლადსტონი შებმულიყვნენ, ის გლადსტონი, ვინც თვალსაჩინო ფიგურად იყო აღიარებული ინგლისისა და, საერთოდ, ევროპის პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ პარნელის აღზევებამ ჩრდილში მოაქცია და ლამის გარიყა ასპარეზიდან. გლადსტონი თითქოს შეეგუა ბედს, რადგან პარნელი სასწაულს სჩადიოდა და თავზეხელაღებული ბრძოლით კინაღამ პირში ჩალა გამოავლო მის წინააღმდეგ მომართულ სამყაროს... ასეთ თავგანწირვას არ ელოდნენ, ვერც ის წარმოედგინათ, იმედდაკარგულ ირლანდიელებს ასეთ მხნეობას თუ შთაბერავდა და ასე აიყოლიებდა, ეროვნული მსოფლმხედველობით ასე განმსჭვალავდა და წარმატებას ამით მიაღწია... მაგრამ ინგლისმაც გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი პარნელის ირგვლივ ბადის მოქსოვას და ეს ბადე გლადსტონს ჩააბარა, უშუალოდ ვიღაცას ხომ უნდა ეხელმძღვანელა. გარეგნულად ამიტომაც ჩანს ეს ბრძოლა პარნელისა და გლადსტონის შეჯახებად, რაც სიმბოლურად გამოხატავდა შეურიგებლობას ინგლისსა და ირლანდიას შორის; მაგრამ მთელს ამ დაპირისპირებას გაცილებით ღრმა შინაარსი ჰქონდა, რადგან წარმოგვიდგება ეროვნულ და კოსმოპოლიტურ მსოფლმხედველობათა ჭიდილად — ჭიდილად ეროვნულ თავისებურებათა შენარჩუნებასა და მის უკვალოდ წაშლას შორის.

პარნელის პოლიტიკური [illegible]ლას მხარდამხარ მიჰყვებოდა მოღვაწეობა ირლანდიის კულტურული აღორძინებისათვის (იეიტსი, ლედი გრეგორი, სინგი...), რაც ქმნიდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ორ განუყოფელ ფრთას, იოლად მოსარევს ცალ-ცალკე, მაგრამ ერთადაც ვერ აქციეს ოცნება რეალობად. თუმც რასაც ამ მოძრაობამ მიაღწია, განა ცოტაა — ერის სულიერების გადარჩენა, დროებით მაინც შეგრძნება სიცოცხლის მშვენიერებისა.

და ამ მშვენიერებას ჩრდილი აღარ უნდა დასცემოდა.

თავისუფლებისათვის ბრძოლა თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა ყოფილიყო და მის დიდ სიმართლეს პატივმოყვარული თუ სხვა სურვილები არ უნდა შერეოდა.

პარნელის მოღვაწეობა ბედისწერასა და ისტორიის ბრუნვას ასე განესაჯა — ჰეროიკულ და რომანტიულ ეპიზოდად არსებობა და არა ჩარხის შემოტრიალებად.

ღვთის რწმენის გაქრობამ და ეროვნული გრძნობების გაუფასურებამ ადამიანს ყველაზე დიდ ოცნებად მოაჩვენა მსოფლიოს მოქალაქეობა, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარება ძალდაუტანებლად შეიქმნა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლები ყველგან გაიწირა, სადაც კი რაღაც სცადეს.

როცა პარნელმა დაატყო, გასაქანი არ გვექნება, ყველა და ყველაფერი ისეა მომართული ჩვენს წინააღმდეგ, სასწაულიც ვეღარ გვიშველისო, ოღონდ ხალხი არ გაჟლეტილიყო და წინააღმდეგობის სული გადარჩენილიყო, თავისი ნებით განუდგა პოლიტიკას.

ეს არ ყოფილა მარცხის აღიარება მის მიერ.

ეს იყო პარნელის მოღვაწეობისათვის ნიშანდობლივი გმირული დასასრული.

ისიც ბუნებრივია, ამის სულიერი გადატანა რომ ვერ შეძლო და მალევე განეშორა წუთისოფელს.

ირლანდიის ისტორიას კიდევ ერთი წამებული შეემატა, მაგრამ ჯოისისათვის რატომ მიენიჭა ასეთი მნიშვნელობა ან ამ ისტორიას, ან მის წამებულს — ანუ: დედაღორსა და მის მიერ შეთქვლეფილ ნაშიერს?

იგი, ეტყობა, ძლიერ მოხიბლა პარნელის თავშეწირვამ თავისი იდეისა და მრწამსისათვის და, ვინ იცის, შენატროდა, ნეტა მეც ასე შემეძლოს თავის გადადება ჩემი მრწამსისათვისო. თუ არა ეს, სხვაგვარად როგორ გინდა ახსნა მწერლის უცნაური გაორება — იდეის ათვალწუნება და მისი ყველაზე ერთგული მიმდევარის მიმართ ღრმა თანაგრძნობა და მოწიწება?! ხოლო თუ ამ თვალით აღვიქვამთ, არავითარი გაორება აღარ მოგვეჩვენება.

მერე ის მოხდება, რომ ჯოისი ძველ კელტურ თქმულებებს, ძველ ირლანდიურ მითებს სხვა გულისყურით ჩაუკვირდება და მასში იპოვნის საგულისხმო მასალებს თავისი რომანისათვის „ფინეგენის ქელები“. მისი რწმენის სიმტკიცე ამით არ შერყეულა, არც ფესვების ძიების ჟინი აღძრია, მაგრამ თავისთავად ეს გარემოებაც იქნებ არც ისე უბრალო იყოს... ასე თუ ისე, „ჯერ ირლანდია, სტივი...“ — მაინც დაბშულ გულისთქმას აწყდებოდა.

ნუთუ ეს მუდარა თუ რჩევა სამუდამოდ ამისთვისაა განწირული, რომ თანდათან სულ მიწყდეს და ჩაიფერფლოს?

მაგრამ ბრუნავს კაცობრიობის ცხოვრება და ამ ტრიალში კვლავ ამოიზრდება ღვთის რწმენა, ქრისტიანული მსოფლიოსათვის მაცხოვრის სიყვარული პირვანდელი მადლით დაუბრუნდება ადამიანის გულს: ეს ის მადლია, სახელმწიფო იდეოლოგიად რომ არ გადაქცეულა და არც კოსმოპოლიტური შინაარსი შეუძენია; და მიმართულია არა სხვადასხვა ერთა შერწყმისაკენ, არამედ თვითეული ერის ნამდვილ ბუნება-თვისებათა გამოსაკვეთად და გადასარჩენად.

მაშ, ამ მუდარას არ ელის უნუგეშო დაშრეტა და ოდესმე რეალობად გადაიქცევა. ბოლოსდაბოლოს რა ისეთი შეუძლებელია: სამშობლოა უპირველესი სალოცავი, ჯერ შენი ქვეყანა და მერე შეგიძლია იყვე რაც გენებოს, გინდ პოეტი და გინდ მისტიკოსი...

ბურბონები ბრუნდებიან?

ტარიელ კვანჭილაშვილი

როგორც ვხედავთ, სათაურში კითხვის ნიშანს ვსვამ. ვიმსჯელოთ და პასუხს ერთად მივაგნოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კითხვა ბევრ სხვასაც გასჩენია. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ბურბონებს პირობითად ვამბობ. ცნობილია, რომ პოლიტიკური რესტავრაციები ყოველთვის ბურბონების ასოციაციას იწვევს.

საქართველოს დღევანდელი სინამდვილისათვის ბურბონებად აღიქმებიან ყავლგასული კომუნისტური რეჟიმის დროინდელი ფუნქციონერები, რომლებიც მრავლად გამოჩნდნენ ეხლანდელი ხელისუფლების თითქმის ყველა დონის თანამდებობებზე — დაწყებული საქართველოს მთავრობიდან და გათავებული რაიონული და სასოფლო გამგეობების შემადგენლობით. ყველგან მრავლად არიან ყოფილი კომპარტიის ცეკას მდივნები, ყოფილი მინისტრები, ყოფილი რაიკომის მდივნები, ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარეები და ა.შ. ზოგ რაიონში კი მთელი გამგეობა — თავმჯდომარე, მოადგილე, წევრები — მთლიანად ყოფილი ფუნქციონერებისაგან შედგება. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს — პრემიერების მოადგილეები, მინისტრები და ა.შ. — აქაც მრავლადაა ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერები. ასე რომ, „ბურბონები" სანთლით საძებნელნი არ არიან. ეს სადავოც არ არის, ავიღოთ დღევანდელი თანამდებობის პირთა სიები, გავეცნოთ მათს ბიოგრაფიებს და ყველაფერი ნათელი გახდება.

მინდა ამთავითვე განვაცხადო, რომ მათ შორის მართლაც არიან გამონაკლისები, კარგები, პატიოსნები, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც დღესაც თბილ სავარძელში მოკალათდა. გარდა ამისა, მინდა ისიც ვთქვა, რომ მე პიროვნულად არავის ვეხები, მე თვით პრინციპი მაინტერესებს, ის პრინციპი, რომლითაც ხდება თანამდებობებზე მათი მიწვევა.

რატომ ხდება „ბურბონთა" დაბრუნება? მავანი ამას იმით ხსნის და ამართლებს, რომ ისინი გამოცდილები არიან და ქვეყნის გაჭირვების ჟამს უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილებაო. ვიმეორებ, არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის ეგებ ნამდვილად არიან ღირსეულნიც, მაგრამ ასე საყოველთაოდ არა. რატომ გვავიწყდება, რომ სწორედ მათმა უმრაკლესობამ დაღუპა საქართველო, ამ უბედურებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. რომელ მათს გამოცდილებაზეა ლაპარაკი, იმაზე ხომ არა თუ როგორ ყიდდნენ ქართულ მიწებს, გვიმრავლებდნენ გადამთიელებს და ამით ჯიბეებს ისქელებდნენ? იმაზე ხომ არა, თუ როგორ ჩაეფლნენ მექრთამეობის ჭაობში? იმაზე ხომ არა, თუ როგორ ხდებოდნენ უზნეონი და სხვებსაც უზნეოებად აქცევდნენ? იმაზე ხომ არა, თუ როგორ ივიწყებდნენ ეროვნულ ინტერესებს და მოსკოვის ყურმოჭრილი მონები როგორ იქაჩებოდნენ ცენტრის დიქტატის აღსასრულებლად? იმაზე ხომ არა, თუ როგორი მძიმე დემოგრაფიული ვითარება შექმნეს ჩვენში? რომელი, რომელი მათი „გამოცდილება" ბაასობ. დღეს ჩვენთვის ძისაღები და გამოსაყენებელი? საქართველოს დღეს და მომავალში ასეთი „გამოცდილება" არა სჭირდება.

ზემოთ თქმულს ისიც უნდა მივუმატოთ, რომ კომუნისტი ფუნქციონერის ფსიქიკა, თუნდაც ის პიროვნება კრისტალური პატიოსნებისა ყოფილიყო, ისევთად ჩამოყალიბდა, რომ დღევანდელ ვითარებას, მით უფრო სახალიო პროგრესს, ფეხს ვერ აუწყობს. ისინი მიჩვეულნი იყვნენ მბრძანებლურ მეთოდებს მართვაში, მათ განუზომელი ძალაუფლება ჰქონდათ, მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ მათი სიტყვა კანონია, დღეს კი დემოკრატიულ მართვაზე გადავდივართ და ისინი საამისოდ ვერ გარდაიქმნებიან. ამიტომაც არის, რომ ჩვენში ასე ფერხდება, ჭიანურდება პრივატიზაციის პროცესი, სხვა სახის გარდაქმნები და პროცესებიც. მაგალითისათვის რომ ავიღოთ სოფლის მეურნეობა. კომუნისტური რეჟიმის დროს ყველა რაიონისა და სოფლის სამეურნეო საკითხები, თვით წვრილმანებიც კი, ცენტრში წყდებოდა. ასე იყვნენ მიჩვეულნი სამინისტროშიც. ახლა, როცა მინისტრად და მის თანამშრომლებად ისევ ის ძველი ადამიანები არიან, ისინი ვერ ეგუებიან იმას, რომ ხელიდან გაუშვან მართვის სადავეები, მათ დაუკითხავად, მათთან შეუთანხმებლად სადმე ვინმემ რაიმე ინიციატივა გამოიჩინოს. ამიტომაც არის, რომ პრივატიზაციას აფერხებენ, ვაი თუ ჩვენი ძალაუფლება შესუსტდეს და სოფლის მეურნემ ჩვენსკენ აღარც კი გამოიხედოსო. ამრიგად, მათი „გამოცდილება" არა თუ სასარგებლო არ არის, არამედ ხელისშემშლელიც კი ხდება.

რომელი „გამოცდილება" აქვთ კიდევ მხედველობაში? ისინი არ იყვნენ, რომ ინტერნაციონალიზმის ლოზუნგით ახორციელებდნენ აღვირახსნილ რუსიფიკაციას? ისინი არ ავიწროებდნენ ქართულ ენას და გამოდევნიდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში ხმარებიდან? „ცენტრს" მუქთად, უფასოდ ისინი არ უგზავნიდნენ ჩვენი ქვეყნის ნედლეულს თუ სხვა სიმდიდრეს და ჩვენ გვაღატაკებდნენ? ისინი არ უწყობდნენ ხელს ავტონომიათა მეშვეობით საქართველოს დასუსტებას და ჩვენი ქვეყნის არყოფნის მოახლოებას? ყოველივე ეს ხორციელდებოდა იმ ნომენკლატურული მუშაკების ხელით, ვის გამოცდილებაზეც ახლა ლაპარაკობენ, ჩვენ კი მათ „ბურბონებს" ვუწოდებთ. ნუთუ თავი უნდა მოვიტყუოთ და ვირწმუნოთ, რომ ისინი იხსნიან ჩვენს ქვეყანას? კარიერისტი ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის თანამდებობაზე ზრუნავს და ქვეყნის ბედს არაფრად მიიჩნევს, ვერ გამოადგება ვერც დღევანდელ და ვერც ხვალინდელ საქართველოს. თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა რომ ჩვენი ქვეყანა იყოს დემოკრატიული, ნამდვილად დამოუკიდებელი, სამართლიანი და ღირსეული სახელმწიფო, კადრებს უნდა ვაწინაურებდეთ ეროვნული ძალებიდან — ახალგაზრდებს, პატიოსან ადამიანებს, საქართველოსათვის თავდადებულ პიროვნებებს, რომელთაც ხელებიც სუფთა აქვთ და სულიც, რომლებსაც ახლის გრძნობა აქვთ, მომავლისაკენ მიისწრაფიან და არა უკან, წარსულისაკენ.

უნებურად იბადება ეჭვი, იქნებ „ბურბონებს" ასე ინტენსიურად იმიტომ აბრუნებენ, რომ ვიღაცას განზრახული აქვს სხვაგვარ საქართველოში ამოგვაყოფინოს თავი? დავუშვათ, ეს ასე არ არის და ეს მხოლოდ ჩვენი ეჭვიანობის ნაყოფია, მაშინ რატომ იკავებენ რავს ახალი კადრების დაძებნისაგან და დაწინაურებისაგან, ისევ ძველ კადრებსა? ვისთვისაც საქართველოს [illegible] ლება და დამოუკიდებლობა, მისი აყვავება და გაძლიერება სიცოცხლეზე მეტადაც კი ფასობს? რაო, ასეთები არ გვყავსო, კადრების დეფიციტს განვიცდითო? ნუ სცოდავთ! მონდომებული მომძებნი იყოს, თორემ კადრების მეტი რა გვყავს, საქმე ის არის, რომ ვინც ინტელექტით შაღალია, ვინც ფართიფურთს არ კადრულობს, ვისაც კარიერიზმი სძულს, ისინი ყოველთვის ჩრდილში დგებენ და დღესაც ჩრდილში დგანან. კაცს თუ ასპარეზი არ მიეცი, თუ სათანადო მდგომარეობა არ შეუქმენი, თავის შესაძლებლობებს ვერ გამოამჟღავნებს და მოგეჩვენება, რომ ის უუნაროა. ამ აზრის მკაფიო დასტურია ბატონ შევარდნაძის მაგალითი. ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სანამ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდა, ამხელა დიპლომატიურ ტალანტს ფლობდა? გახდა მინისტრი, შექმნა სათანადო ასპარეზი და შედეგმაც არ დაახანა. ახლა კი მის დიპლომატიურ ნიჭს მთელი მსოფლიო აღიარებს. გორბაჩოვის ნიჭიერება იმაში გამომჟღავნდა, რომ შევარდნაძეში მომავალი დიპლომატი დაინახა. ერთი სიტყვით, ამ მაგალითიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ადამიანების შემჩნევაა საჭირო. თუ ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას გულში სხვა განზრახვა არ უდევს, თუ ის ნამდვილად მოწადინებულია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებისათვის, მაშინ „გამოცდილი" „ბურბონები" კი არ უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოს მართვის ხელმძღვანელ პოსტზე, არამედ ძებნიდეს და პოვებდეს ახალ ძალას, სუფთა ხელებისა და წმინდა სულის მქონე ადამიანებს, რომლებიც უნდა დააყენოს ქვეყნის ხელმძღვანელობის ყველა რგოლში. თანამდებობა ისეთი რამაა, რომ ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი საქმეს მალე აუღებს ალღოს და პრაქტიკაში დანერგავს ახალ, შემოქმედებითი ძიებით მიგნებულ მართვის მეთოდებს, რომლებიც ქვეყნისა და ხალხისათვის იქნება სასარგებლო.

დღეს კი „ბურბონები" ინტენსიურად და მაღალი ტემპით ბრუნდებიან, ეს ფაქტია, რომელიც კარგად ჩანს. საკითხავი ის არის, თუ რა მიზნით ბრუნდებიან ისინი. ნათქვამია, [illegible] ალს თავი არ სტკივაო. ჩ[illegible] ფრთხილად ვიყოთ.

10.5.92წ.

რატომ არ ცნობს რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას?

ამირან დოლიძე

რუსეთი არ ცნობს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ ცნობს საქართველოს სუვერენულ უფლებას თავისი ტერიტორიის არსებულ საზღვრებში და უშვებს რუსეთის მხრიდან საქართველოს საზღვრების ურღვევობის უარყოფას და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობას; ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ ცნობს საქართველოს უფლებას საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიიღოს თავისი წილი ქონებისა; საქართველოს ცნობისადმი ასეთი დამოკიდებულება იმის შედეგია, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიის რეგიონში საქართველოზე გადის, ეს ის რეალობაა, რომელიც საქართველოსათვის გასათვალისწინებელია. რუსეთის ინტერესების სფეროს განეკუთვნება, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში შეინარჩუნოს კავკასიის ქედის სამხრეთი, — რისი გადალახვაც აუცილებლობის შემთხვევაში, თუკი სამხრეთის კალთებზე მისი სამხედრო ბაზა არ იქნება, უძნელეს ამოცანას წარმოადგენს, — სამხედრო პლაცდარმი, ანდა იქ შექმნას ისეთი პოლიტიკური ერთეული, რომელიც რუსეთზე, როგორც მხოლოდ მის ერთადერთ მოკავშირეზე იქნება ორიენტირებული. ამავე მიზანს ემსახურება შავ ზღვაში საქართველოს საზღვაო პორტებზე რუსეთის ოდინდელი ბატონობის პრიორიტეტის შენარჩუნება, რომლებიც, თუკი დამოუკიდებელი საქართველოს განკარგულებაში გადავლენ, ხელისშემშლელნი იქნებიან რუსეთის ფლოტის სტრატეგიულ-სამხედრო მანევრებისათვის.

საქართველოზე თავისი გავლენის შენარჩუნების სურვილი რუსული იმპერიული აზროვნების ინერციაა. ეს სურვილი საქართველომ, სასურველია, უკონფლიქტოდ დააცხროს.

საქართველოში დეკემბერ-იანვრის ძმათამკვლელი შეტაკების შედეგად წავიდა ძველი და მოვიდა ახალი ხელისუფლება, მაგრამ რუსეთს საქართველოსადმი არ შეუცვლია თავისი ტაქტიკა. რუსეთი კვლავ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოში: კვლავ მძვინვარებს ეთნიკური, სისხლიანი დაპირისპირება ცხინვალის რეგიონში რუსეთის არმიის დაუფარავი მხარდაჭერით, რუსული იარაღის გამოყენებით ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილი ომი აქვთ გაჩაღებული მკვიდრი ქართული მოსახლეობისა და საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. აფხაზი სეპარატისტების მოქმედების გააქტიურების შედეგად დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთში. აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო რიგი კანონებისა, რომლთა რატიფიკაციის შედეგად აფხაზეთში, — საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში — არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. არ დამცხრალა სისხლიანი დაპირისპირება ქართველთა შორის.

საქართველოში მთავრობები იცვლებიან, უცვლელია რუსეთის ინტერესები საქართველოს მიმართ.

რუსეთისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მთავრობა იქნება საქართველოში, ყოფილი, თუ ძველი. რუსეთისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მმართველი მთავრობა მის ინტერესებს არ დაუპირისპირდეს.

ერთის მხრივ, თუკი საქართველო გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს ისე, რომ საქართველო და რუსეთი დაპირისპირებული ქვეყნებიდან პარტნიორ ქვეყნებად გადაიქცნენ, მაშინ, დასაშვებია საქართველომ დასდოს რუსეთთან ხელშეკრულება, როგორც არა რუსეთზე ორიენტირებულმა სახელმწიფომ, არამედ, როგორც ქვეყანამ, რომლის ტერიტორიიდან რუსეთს საშიშროება არ დაემუქრება. ამ შემთხვევაში საქართველო რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ერთობ შეზღუდული იქნება.

მეორეს მხრივ, თუკი საქართველო არ გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს მან შესაძლებელია გარე სამყაროდან ბლოკირებით საქართველოს სრული იზოლაცია მოახდინოს, ხოლო ბლოკირებულ საქართველოში არასტაბილური სიტუაცია გაამძაფროს, ეთნოკონფლიქტების მეშვეობით საქართველოში შექმნას პერმანენტული დესტაბილიზაცია. ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება საქართველოში რუსეთის გავლენის შენარჩუნების უკანასკნელი საშუალებაა. კონფლიქტის ჩაქრობის შემთხვევაში რუსეთს მოუწევს საქართველოს მიმართ პირდაპირი აგრესია. მაშინ საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდება. დასავლეთი აღმოსავლეთთან დაპირისპირებაში მის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირეს, რუსეთს, დაუჭერს მხარს. საქართველოს სასარგებლოდ აღმოსავლური ფუნდამენტალიზმის გამოყენებამ, როგორც მოკავშირისა, დასავლეთის ორიენტაციის პარალელურად და ამ ორ ძალაზე მანიპულირებამ, შესაძლოა, მაინც ვერ მოგვიტანოს წარმატება. ასეთი [illegible] ლი პოლიტიკისათვის [illegible] შინაგანი დესტაბილიზაციის გა[illegible] მზად არ გახლავთ; ხოლო ფუნდამენტალიზმის აგრესიული ბუნების წყალობით კი იგი შესაძლებელია დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდეს.

ასეთ შემთხვევაში გარე სამყაროდან იზოლირებული საქართველო ვერ გაართმევს თავს შინაურ პრობლემებს და რუსეთი ადვილად მოახვევს თავს მას თავის გავლენას.

რატომ არ სცნობს კიდევ რუსეთი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას? იმისთვის, რათა შეძლებისდაგვარად ნაკლებად გაუნაწილოს კუთვნილი ქონება, მაგალითად, სამხედრო ქონება, კერძოდ კი სამხედრო ფლოტი. საქართველო სამართლიანად არის მფლობელი თავისი კუთვნილი ქონების წილისა. თუკი საქართველოს განვიხილავთ როგორც 1918—1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეს, მაშინ საქართველო მემკვიდრეცაა და მფლობელიც ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში მოქცეული საქართველოს ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე დღეს არსებული უძრავ-მოძრავი ქონებისა...

რუსეთმაც თავის მხრივ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ინტერესები, თორემ ერთხელაც იქნება ამიერკავკასიაში, კავკასიის ქედის სამხედრო ისტორიული მოკავშირის მაგივრად, მტერი დახვდება, რაც, საბოლოო ანგარიშით, ორივე მხარისთვის მეტად საზიანო აღმოჩნდება...

26.05.92წ.

ძველი ინერცია თუ...

„Для человека, начитавшегося Диккенса выстрелить в себя подобного во имя какой-бы то не было идеи затруднительней, чем для человека, Диккенса не читавшего.“

იოსებ ბროდსკი — ნოგელის ლექცია

სასიამოვნო ფაქტია, რომ გამოვიდა გაზეთი „ქართული კულტურა“. მისი ფურცლები მშვენიერი ასპარეზია მათთვის, ვისაც ქართული კულტურის ურთულეს ფენომენზე უფიქრია. განუზომლად დიდი პასუხისმგებლობა უტკივრთავს გაზეთის რედაქციას საზოგადოების წინაშე — „ქართველ კაცსა და ქართულ სულიერებას შორის მოციქულობა“ (როგორც პირველი ნომრის ბოლოსიტყვაობაში გკითხულობთ). ამ იმედით გადავშალეთ გაზეთის პირველი ნომერი და ძალზე გულნაკლული დავრჩით... ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდება პიროვნების შეურაცხმყოფელი წერილები. თითქოს არც უნდა გაგკვირვებოდა ამდაგვარი სტატიის წაკითხვა, მაგრამ გამოგნებელი და გულსატკენია, რომ გაზეთი „ქართული კულტურა“ პირველ ნომერში ბეჭდავს წერილს სათაურით — „მინისტრმა მტკვერი ჩამოიბერტყა“, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ედმონდ კალანდაძის შესახებ. ამ სტატიის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ის დაწერილია არა ქართულ კულტურაზე ზრუნვით, არამედ პიროვნების მიმართ გაჩაღებული ანგარიშსწორების გამო, რასაც წერილის ტონი, გაჯალბებული ფაქტები და ავტორის (თუ ავტორების?!) არაობიექტურობა გვაფიქრებინებს.

უეჭველია, გაზეთის რედაქციის წევრები (რედაქციას ვამბობთ, რადგან ყველა სხვა წერილისაგან განსხვავებით, აღნიშნული სტატია რატომღაც ხელმოუწერელია) არც ბ-ნ ედმონდს იცნობენ და არც მის შემოქმედებას, თორემ ასე ადვილად ვერ გაიმეტებდნენ. მით უფრო დასაბანია ეს ფაქტი, რადგან საქმე გაზეთ „ქართული კულტურის“ რედაქციას ეხება.

შეიძლებოდა აბზაც-აბზაც განგვეხილა მთელი [illegible] და პასუხი გაგვეცა ყველა იმ ბრალდებისათვის, ვინც ცილისწამებაზე, რასაც ასე არაოსტატურად თხზავს ავტორი, მაგრამ ჩვენ სხვა გზა [illegible]ჩიეთ. მიუხედავად ჟურნალისტის [illegible] გაუმართავი ქართულისა, ვცადეთ [illegible] ის ძირითადი საკითხები, რაც „ასე ძლიერ აწუხებს“ ავტორს და ვეცდებით მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით კუპასუხოთ მათ.

„მტკვერს, ლაშის მთელი რუსთაველის პროსპექტი მიჰქონდა — სპობდნენ და ანადგურებდნენ... ქართული ხელოვნების ნიმუშებს, თვით ჩვენი უკვდავი იაკობ ნიკოლაძის ნახელავს...

– ზოგ გულუბრყვილოს კი ეგონა, მეტს თუ ვერას მოახერხებდა კულტურის მინისტრი, ჭუჭაში გამოვიდოდა და პროტესტის ნიშნად იმ ხარ[illegible]ების ქვეშ დადგებოდა, სიდანაც ნაჭ[illegible]ნ-მსხვრევები ცვიოდა. [illegible] მიამჯნ[illegible]“.

გაზეთ[illegible]ია აქ ნახსენები საქმის ვითარებას რომ გასცნობოდა, ეცოდინებოდა: ქართული კულტურის ძეგლების დაცვა ბ-ნ ედმონდს ყოველგვარი თანამდებობრივი დატვირთვის მიუხედავად ჰქონდა ნაკისრები, როგორც მხატვარს და როგორც მოქალაქეს (შეგიძლიათ გაეცნოთ თუნდაც მის მოხსენებას მხატვართა კავშირის კრებაზე, სადაც ვაკის პარკის მემორიალის მოხსნის საკითხი განიხილებოდა). რაც შეეხება იაკობ ნიკოლაძის ჭორელიფების ჩამონგრევას, როგორც კი ცნობილი გახდა ამის შესახებ, კულტურის სამინისტროში გაიმართა თათბირი, სადაც მომხდარ ფაქტს შესაბამისი შეფასება მიეცა. ხოლო „საჯაროდ პროტესტის გამოხატვა“ ან „ძეგლის ნამტვრევების ქვეშ დადგომა“ მათაც შეეძლოთ, ვინც ამუამად „ქართული კულტურის“ რედაქციის წევრები არიან, მაგრამ როგორც თავად წერილის ავტორი წერს, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

აქვე დავძენთ, რომ ავტორი, მოიხსენებს რა გაზეთ „დროშაში“ გამოქვეყნებულ მერაბიშვილის სტატიას, რატომღაც შეგნებულად გვერდს უვლის ბ-ნი ედმონდისადმი გამოხატულ იმ მოწიწებას და პატივისცემას რითაც ასე გაჯერებული ქ-ნი ირინეს წერილი.

„ნგრევის მოტივი ერთობ სადა და ნათელი იყო, რომ არა ვთქვათ პრიმიტიული“. — წერს ავტორი.

მართლა ასეა? განა საქართველოში და მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ის ასი ათასობით ძეგლი, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ კომუნისტურ წყობილებას და მის ბელადებს, ვისიმე უგნურების, ანდა კაპრიზის გამო ინგრევა? ამ პრობლემას ხომ მეტად ღრმა ისტორიული და სოციალური ფესვები აქვს. ჩვენ შორის ვართ იმ აზრისაგან, რომ ნადგურდებოდეს ძეგლები, მიუხედავად იმისა თუ ვისი შესრულებული, რა შინაარსის და როგორი მხატვრული ღირსებისა ისინი (მათ მნიშვნელობას ალბათ ისტორია გაარკვევს), ხოლო ის, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოხდა, ალბათ სტიქიური, სავსებით უმართავი ანგარიშსწორების რაღაც ფორმა იყო იმ ენითაუწერელ დანაშაულებრივ ქმედებათა გამო, რაც კომუნისტურმა მმართველობამ ადამიანების მიმართ ჩაიდინა. ამიტომ, როდესაც მცხეთასთან ლენინის ძეგლი მოიხსნა (უდაო მხატვრული ღირსებების მქონე), არავინ ფიქრობდა ქანდაკების ავ-კარგიანობაზე, არც მის ავტორზე — ივანე შადრზე უფიქრია ვინმეს. იგივე მოხდა, როდესაც აიღეს მმერაბიშვილისეული ს.ორჯონიკიძის ძეგლი, ყოფილი ლენინის მოედანზე აღმართული ვ. თოფურიძის ლენინის ქანდაკება და სხვა მრავალი.

რედაქციის წევრთა შემდეგ „სატკივარზე“ ჩვენი აზრის გამოთქმამდე, ერთი კითხვა გვინდა დავუსვათ მათ. სანამ ბ-ნ ედმონდთან გარკვევდნენ, თუ რას ფიქრობდა ის საქართველოდან წასულ ემიგრანტებზე, იქნებ ლიტერატურა ერეკლეს ბაგრატიონ-ყაზბეგზე, ანდა ბ-ნი რ. სტურუასათვის მიემართათ, ანდა დაკავშირებოდნენ ბ-ნ თ. ჩხეიძეს და გაეგოთ, თვლიან კი ისინი თავს ემიგრანტებად? თავად რედაქცია კი უფრო დაკვირვებითა და მეტი პასუხისმგებლობით რომ გასცნობოდა მათსავე გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილ ინტერვიუებს ქ-ნ ნანი ჩიქვინიძესთან და ქ-ნ ლიანა ისაკაძესთან, რა თქმა უნდა, ასე აღარ გააკვირვებდა ბ-ნი ედმონდის პასუხი: „რა მოგახსენოთ, არ ვიცი, იყო თუ არა ეს ემიგრაცია. ისე კი მსგავსი ფაქტები თავისთავად საკვირველი არ უნდა იყოს, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ხელოვანს პირობები თავისი შესაძლებლობების სრულად გამოსამჟღავნებლად“.

აქვე დავძენთ, რომ მართლაც კულტურის მრავალი მოღვაწე გაეგზავნა უცხოეთში და დღესაც ბევრი წავა სიამოვნებით, თუკი ასეთი შესაძლებლობა იქნება მათი „შემოქმედებითი ნიჭის გასაფურჩქნად“, და ბუნებრივად იბადება კითხვა: არის თუ არა ეს ემიგრაცია?

რა თქმა უნდა, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც უმართებულოდ მიაყენეს ტკივილი ადამიანებს, იყო პირადი მტრობაც და „შიდა ბრძოლებიც“, მაგრამ ეს ხომ ყველა ეპოქას ახასიათებს და მათი აღმოფხვრა და ხელოვნების მოღვაწეთათვის უკეთესი პირობების შექმნა სწორედ კულტურის სფეროში მომუშავეებს მოეთხოვებათ. სამწუხაროდ, რედაქციის წევრებს მსგავს მოწადინებას ვერ ვამჩნევთ.

არადა, ლიანა ისაკაძე, რობერტ სტურუა და ედმონდ კალანდაძე — სამივენი ქართული კულტურის სიამაყენი არიან და საქართველოს თავისი ნიჭიერი ცოდვილი შვილები არ უნდა ემეტებოდეს საქვეყნოდ სალანძღვად.

„ჩვენი აზრით, — წერს ავტორი, — არ ეყო ძალა ბატონ ედმონდს მწარე სიმართლისათვის თვალი გაესწორებინა... და გაზეთის მიერ შემოთავაზებული ინტერვიუს პასუხად... ხელი დიმანა“.

საინტერესოა, რას უწოდებს ავტორი „ხელის დაბანას“, ნუთუ იმას, რომ გაზეთი არც კომ[illegible]ტურის), არც მი[illegible] ნაშუშევრების დასაცავად [illegible]ინეს ხარაჩოების ქვეშ [illegible], რადგან იმ [illegible]ების (როგორც [illegible] ავტორი უწოდებს) მრავალ[illegible]ცხოვან გამოსახულებებში, რაც [illegible]ველოში არსებობდა, თქვენ ვერც [illegible]ს, ბ-ნი ედმონდის მიერ შესრულებულს, ვერ ნახავთ.

რაც შეეხება ეკალანდაძის „მაცდური წუთისოფლის ნებით ერთხანს მინისტრობას“ (ჩვენთვის გაუგებარი და აღმაშფოთებელია რედაქციის ასეთი გესლი), მოგაგონებთ, რომ მან მთავრობის შეცვლისთანავე გადაწყვიტა გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან (როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული), რის შესახებაც წერილობით განაცხადა (სათანადო დოკუმენტი კულტურის სამინისტროში ინახება), თუმცა პრესამ და ტელევიზიამ ამ ფაქტის სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

დასასრულ, მცირე შესწორებით, მაგრამ ერთ რამეში მაინც გვინდა დავეთანხმოთ წერილის ავტორს: წარმატება ვუსურვოთ ბ-ნ ედმონდს მის შემოქმედებით საქმიანობაში, იქნებ მართლაც იქ ამჩნიბინოს დაუნდობლად, უსამართლოდ მიყენებული ტკივილის გამჟღავნება „მოწოდებით ყოველთვის მხატვარმა“... ჩვენ კი, როგორც ვიფასებთ ნიჭიერ შემოქმედთ, იმ გაზეთის ფურცლებზეც კარგად გამოჩნდა, „ქართული კულტურა“ რომ ჰქვია.

მზია ჩიხრაძე,
ქეთევან რამიშვილი,
ნანა შერგაშიძე,
თეა ტაბატაძე,
ნინო სანეგლიძე,
ირმა გოგლიძე,
ნონა ხარატიშვილი,
მანანა ჭელიძე,
თამარ ხუნდაძე,
ნინო ღალანიძე,
ქეთევან აბაშიძე;
თეა სხიერელი;
რუსუდან ძაბანია;
ლევან დავითაშვილი;
ნატო შერგაშიძე;
თამარ ტაბატაძე;
თინათინ ზამთარაძე;
ქეთევან ჟორჟოლიანი;

P.S. გულსატკენია, რომ „ქართულმა კულტურამ“ პირველივე ნომერში ამგვარი წერილი მოუძღვნა 70 წლის მხატვარს, კაცს, რომელიც თანამედროვე ქართული ფერწერის სათავეებთან დგას, რომელიც დღესაც დაუღალავად იღწვის მისი სრულყოფისათვის, რომლის შემოქმედებაც უკვე ქართული ხელოვნების საგანძურია და რომლის მოღვაწეობაზეც დღემდე თითქმის არაფერი დაწერილა.

მცირე სასწავლო საწარმო „ბუღალტერი“ აცხადებს მსმენელთა მიღებას მცირე საწარმოებში, კოოპერატივებში, [illegible]ებში სამუშაოდ.

მსმენელები შეიხვეწვლიან საბუღალტრო აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობას, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებს.

ლექციებსა და პრაქტიკაში მეცადინეობებს ატარებენ ფინანსთა სამინისტროს კვალიფიციური სპეციალისტები.

მეცადინეობები ჩატარდება ფალიაშვილის ქ. № 59-ში, 54-ე საშუალო სკოლის შენობაში, 18—20 სთ-მდე. ჩვენთან სწავლება შედარებით იაფია.

ტელ.: 22—11—56,
22—67—05,
22—54—14

განცხადება

ა.წ. 10 ივნისს, ოთხშაბათს, 13 საათზე, პუშკინის ქ. № 5-ში, გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

დღის წესრიგი:

I. მოხსენება რესპუბლიკაში პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.

II. საქართველოს რესპუბლიკის ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ბატონ ემირ ჯუღელის ინფორმაცია საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

III. ქართველ მეცნიერთა ჯგუფისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ვვფ-ინტერნეიშენის“ მიერ საქართველოს ეროვნული პარკების შესახებ ერთობლივად შემუშავებული პროექტის განხილვა.

მომხსენებელი — სსფ ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ბატონი გია ბეგიაშვილი.

ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ომისა და შრომის ვეტერანი, დამსახურებული მასწავლებელი, მარნეულის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე

გრიგოლ იასონის ძე შუბითიძე

ამქვეყნიურ ყოფას განერიდა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ახალგაზრდა თაობის კეთილგონივრულ აღზრდას შეალია.

მარნეულის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ახალგაზრდული ენერგიით იღწვოდა ეროვნულ მოძრაობაში, ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

და რადგან ერის მსახურება იგივე ღვთის სამსახურია, განუსვენე უფალო და მეოხ ეყავ მის სულს.

26 მაისს — საქართველოს თავისუფლების დღეს ბატონ

პაატა კოლუაშვილს შეეძინა ვაჟი, **ერეკლე.**

ვულოცავთ ბატონ პაატას მესამე შვილის დაბადებას და ვუსურვებთ თავის კოლეგებთან ერთად ისე ემუშაოს საქართველოს საკეთილდღეოდ, რომ პატარა ერეკლეს ნამდვილად დამოუკიდებელ და მშვიდობიან საქართველოში აედგას ფეხი.

ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი